თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი

კერძო (ბიზნეს) სამართალი

გვანცა იობაშვილი

მედიაციისთვის მახასიათებელი პრინციპები

და ეთიკური სტანდარტები

(საქართველოს მაგალითზე)

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი ირაკლი ყანდაშვილი

სამართლის დოქტორი

თბილისი, 0156, საქართველო

2020

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

„ჩვენ ქვემეორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით გვანცა იობაშვილის მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: მედიაციისთვის მახასიათებელი პრინციპები და ეთიკური სტანდარტები და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“

ხელმძღვანელი : პროფესორი ირაკლი ყანდაშვილი

_____

რეცენზენტი:

_____

თარიღი: _____

ავტორი :

ნაშრომი: „მედიაციისთვის მახასიათებელი პრინციპები და ეთიკური სტანდარტები“

სამართლის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამა : კერძო (ბიზნეს) სამართალი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ქვემოთ მოყვანილი ნაშრომის გაცნობის მიზნით, მოთხოვნის შემთხვევაში, მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს

ავტორის ხელმოწერა

_____

რეზიუმე

მედიაცია კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთი ალტერნატიული საშუალებაა, რომლის აქტიურად გამოყენება საქართველოში ბოლო პერიოდში დაიწყო. მედიაციის ძირითადი მახასიათებელი არის ის, რომ იგი უზრუნველყოფს ნებაყოფლობით, კონფიდენციალურ და მხარეების ინტერესებზე დაფუძვნებულ პროცედურას. ინტერსები შესაძლოა იყოს, როგორც პირადი, ფინანსური, სოციალური და ეკონომიკური. შესაბამისად, მედიაციის პროცესის თავისუფლება მის არაფორმალურ ხასიათზე მიგვანიშნებს, სადაც მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, მათივე სურვილის მიხედვით, შეწყვიტონ დავის განხილვა. განსხვავებით სასამართლო პროცედურებისგან, მედიაცია ფინანსური თვალსაზრისით არ არის ძვირადღირებული და დროში გახანგრძლივებული პროცესი, რაც მის ძირითად უპირატესობაზე მიგვანიშნებს. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, მედიაციის ინსტიტუტის განვითარება ხელს უწყობს არა მხოლოდ მხარეებს, დავა სწრაფად და ეფექურად მოაგვარონ, არამედ, ეხმარება სასამართლოს უამრავი საქმისგან განმუხტვასა და შემსუბუქებაში. ამგვარად, სახელმწიფოს მხრიდან მედიაციის განვითარების ხელშეწყობა შესაძლოა მის ვალდებულებადაც მივიჩნიოთ.

ჩემს მიერ წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია, გაგაცნოთ მედიაციისთვის მახასიათებელი ის ძირითადი პრინციპები და ეთიკური სტანდარტები, რომელიც მედიაციის პროცესის წარმართვისთვის და მედიატორისთვის შესასრულებლად სავალდებულო ხასიათს ატარებს. აგრეთვე ნაშრომი შეეხება მედიატორის ეთიკურ პასუხისმგებლობას, პროცესის მსვლელობისას ქცევის სტანდარდებს, მის მოვალეობებს და უფლებამოსილებებს. წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება მედიატორის პროფესიული საქმიანობის შესახებ კანონის მიღების აუცილებლობა, მასში შემავალი მნიშვნელოვანი საკითხები, თემები, ქვეთავები და ა.შ.

ნაშრომის მეორე თავი იწყება მოკლე ისტორიული მიმოხილვით, მისი განვითარების ეტაპებით და სრულდება მედიაციის თანამედროვე მნიშვნელობის თემით. პირველ ქვეთავში განხილულია, როგორც საქართველოს, აგრეთვე მსოფლიო მაგალითი- იწყება შუმერული ეპოქიდან და სრულდება ილია ჭავჭავაძის იდეოლოგიით დავის გადაწყვეტის მორიგებით დასრულების დანერგვაზე და მისი მიღების აუცილებლობაზე.

ნაშრომის მესამე თავი ეხმიანება დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს შორის ძირითად განსხვავებებს, ესენია : მოლაპარაკება, მედიაცია, არბიტრაჟი და სასამართლო. თითოეულ ქვეთავში ცალ-ცალკეა განხილული მათ შორის არსებული განმსახვავებელი ნიშნები. აღნიშნული თავის ქვეთავებში მეტი თვალსაჩინოებისთვის გამოყენებულია საქართველოს საკანონმდებლო აქტებიც.

მეოთხე თავი მთლიანად ეთმობა მედიატორის პროფესიული საქმიანობის პრინციპებს და ეთიკური ქცევის სტანდარტებს. აღნიშნულ თავში მოცემულია თითოეული პრინციპის ცალკეული განხილვა და მსჯელობა პროცესის მსვლელობისას მისი დაცვის აუცილებლობაზე. აგრეთვე ვეხები იმ თემას, თუ რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს ამ პრინციპების დარღვევით მიმდინარე სამედიაციო პროცესებმა. გარდა პრინციპების დაცვის ვალდებულებისა, მეოთხე თავის მეორე ნაწილის ქვეთავები მედიატორის ეთიკური პასუხისმგებლობის საკითხებს ეძღვნება. აღნიშნულ ქვეთავებში ყურადღებას ვამახვილებ მედიატორის ქცევის საკითხებზე და ეთიკურ სტანდარტებზე, აგრეთვე, მის ურთიერთობას მოდავე მხარეებთან, მის ვალდებულებებს როგორც მხარეების, ასევე მესამე პირების წინაშე. განვიხილავ მისი მოქმედების არეალს და კომპეტენციის საზღვრებს, ისევე როგორც პასუხისმგებლობას ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის შემთხვევაში.

ამ ნაშრომის დასასრულს პირადი მოსაზრებების საშუალებით, ვცდილობ ვიმსჯელო სახელმწიფოს მხრიდან მედიატორის პროფესიული საქმიანობის კანონით რეგულირების აუცილებლობაზე, რატომ შეიძლება ჩავთვალოთ სახელმწიფოს ვალდებულებად ხელი შეუწყოს მედიაციის ინსტიტუტის განვითარებას, აგრეთვე მედიაციის უპირატესობებზე თუ რატომ არის მისთვის მიმართვიანობა მეტად ეფექტური ვიდრე სხვა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული ინსტიტუტები და სხვა.

Abstract

Mediation in one of the conflict resolution alternatives, which active use in Georgia has begun recently. The main feature of mediation is that it provides a voluntary, confidential and interest-based procedure. Interests can be personal, financial, social and economic. Consequently, the freedom of the mediation process indicates its informal nature, where the parties have the opportunity to interupt the dispute at their own will. Unlike the cout proceedings, the main advantage of the mediation, is that it is financially cheap, as well as, it is time saving procedure. Under these circumstances, the development of the mediation helps not only the parties to resolve the dispute quickly and efficiently, but also helps the court to alleviate many cases. Thus, promoting the development of mediation may the considered as a state's obligation.

The aim of my work paper is to introduce you the basic principles and ethical standards that characterize mediation, which are mandatory for conducting the mediation process and for the mediator either. The paper also discusses the mediator's ethical responsibility, standards of conducting the process, duties and responsibilities.

The second chapter begins with a brief historical overview of mediation development and concludes with a modern significance of mediation. The first subsection discusses both, as well as, Georgia and the world example - starting with the Sumerian era and ending with the ideology of Ilia Chavchavadze agreeing to end the dispute with negotitaiton.

The third chapter responds the main differences between the alternative of dispute resolution: negotiation, mediation, arbitration, and litigation. In each subsection, the distinguishing marks between them are discussed separately. For more ilustration, Georgian legislative acts are also used in above-mentioned chapters.

The fourth chapter is entirely devoted to the principles of professional activity of the mediator and the standards of ethical conduct. This chapter discusses each principle separately and discusses the needs to protect them during the process. I will also touch on the issue of the consequences of mediation if these mentioned principles would be abolished. In these sub-chapters, I focus on the mediator's behavioral issues and ethical standards, as well as his relationship with the disputing parties, his obligations to both parties and third parties too. I will discuss its scope and competencies, as well as its responsibilities in case of discovering of a conflict of interest.

At the end of this work, through my personal considerations, I try to discuss the need for the state to regulate the mediators professional activities with law, why we can consider the state's obligation of developing mediation institution, as well as why is mediation more beneficial than other alternative dispute resolutions and others.

ს ა რ ჩ ე ვ ი

აბრევიატურა 10

I.შესავალი.....11

II.მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ისტორიული წარმომავლობა და თანამედროვე სამართლებრივი მნიშვნელობა..... 15

1. მედიაციის წარმოშობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა.. 15

2. მედიაცია, როგორც სამართლებრივი კონფლიქტების გადაწყვეტის პრივილეგირებული საშუალება.....20

III. მედიაციისა და დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებების ძირითადი განსხვავებები. 28

1. მედიაცია და მოლაპარაკება..... 28

2. მედიაცია და არბიტრაჟი.....31

3. მედიაცია და სასამართლო.....35

IV. მედიატორის პროფესიული საქმიანობის პრინციპები ეთიკური სტანდარტების ჭრილში 40

1. მხარეთა ნებაყოფლობითობის პრინციპი.....41

2. თვითგამორკვევის პრინციპი.....44

3. კეთილსინდისიერებისა და თანასწორობის პრინციპი.....46

4. კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპი.....47

5. დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი 53

6. ინტერესთა კონფლიქტი.....55

7. მედიატორის კომპეტენციის საზღვრები.....57

8. მედიატორის როლი და ეთიკური პასუხისმგებლობა..... 58

9. მედიატორის მოვალეობები მესამე მხარის წინაშე..... 62

V.დასკვნა.....63

ბიბლიოგრაფია 65

აბრევიატურა

ქართულ ენაზე:

იხ. - იხილეთ

ა.შ - ასე შემდეგ

მაგ. - მაგალითად

სხვ. - სხვა

ინგლისურ ენაზე:

ADR – alternative dispute resolution (დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება)

I. შესავალი

„ პესიმისტი ხედავს სირთულეს ყველა შესაძლებლობაში, ოპტიმისტი ხედავს შესაძლებლობას ყველა სირთულეში“

უინსტონ ჩერჩილი

მედიაცია თანდათანობით სოციალური რეგულირების დიდი ნაწილი ხდება, რომელიც მიჩნეულია დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის საშუალებად და სოციალური წესრიგის დამყარების ნაგულისხმევ მეთოდად. [1] თანამედროვე და ცივილიზებული საზოგადოება მიისწრაფვის დავები გადაწყვიტონ სწრაფად, ეფექტურად და მინიმალური დანახარჯით სასამართლო პროცესების ჩარევის გარეშე. მაშინ როცა, სასამართლო პროცესები არის ფორმალური, ავტორიტეტული, მოთხოვნებზე ორიენტირებული, მედიაცია სთავაზობს დავის მხარეებს მოქნილ, საკუთარ ნებაზე მოქმედ მექანიზმს.[2] შესაბამისად, მსოფლიოში მნიშვნელოვნად პროგრესირებს მედიაციის როლი, ვინაიდან მისი განვითარება ხელს უწყობს მოქალაქეების ნდობისა და სამართლიანობის განცდის ამაღლებას. მედიაცია შესაძლებელია “პასუხისმგებლობისგან“ ათავისუფლებდეს სასამართლოებს, რომლის პროცესები გრძელვადიანი და ძვირადღირებულია. სწორედ აქედან გამომდინარეა, რომ დღეს უმეტეს წილად მსხვილ კორპორაციებში ყოველდღიურად იზრდება მედიატორის როლი, ვინაიდან აღნიშნული საშუალებით ხდება ხარჯების დაზოგვის დაპირება და გრძელვადიანი ურთიერთობების ხარისხიანად

[1] Robert P. Burns, Some Ethical Issues Surrounding Mediation Some Ethical Issues Surrounding Mediation, 2001,691

[2] Dr Felix Steffek LLM (Cambridge), Mediation in the European Union: An Introduction, June 2012,1

შენარჩუნება.[3] მედიაცია დავის მხარეებს ხელს უწყობს დასხდნენ, ისაუბრონ დავის გადაწყვეტისა და პრობლემის გადაჭრის გზაზე საერთო ინტერესების გათვალისწინებით. მედიაციის პროცესში მედიატორი წარმოადგენს გამოცდილ დამოუკიდებელ პირს, რომელიც მიუკერძოებლად მუშაობს ყველა დაინტერესებულ მხარესთან. პრობლემის მოგვარების მოლაპარაკებები კონფიდენციალურ გარემოში ტარდება, სადაც განიხილება დავის კონსტრუქციული გადაწყვეტა მხარეების რეალური ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით.[4]

მედიაცია დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე განვითარებად ინსტიტუტად შეიძლება მოვიაზროთ თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე. მედიაცია განიმარტება, როგორც მოლაპარაკების პროცესი, სადაც ნეიტრალური, მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი პირი - მედიატორი, დაპირისპირებულ მხარეებს ეხმარება კონფლიქტი ურთიერთსასარგებლო შეთანხმებით დაასრულოს.[5]

მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალერნატიული საშუალების განვითარების მთავარი კრიტერიუმები შესაძლებელია მდგომარეობდეს შემდეგში: ფინანსურად ხელმისაწვდომი, სწრაფი და ეფექტური, დროში მომგებიანი, ხელს უწყობს თანამშრომლობის განვითარებას და მიიღება მეტად ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილებები. მედიაციის პროცესი მეტად კონსტრუქციულია და მხარეებს პირადი განვითარების და სოციალური ზრდის შესაძლებლობას აძლევს, აგრეთვე, მოლოდინი არის დიდი, რომ შედეგები დასრულდეს ორივე მხარის ინტერესების გათვალისწინებით[6]. მედიაციის მთავარი მიზანია, დავა წარმატებით წარიმართოს და

[3] Carrie Menkel-Meadow. Ethics and Professionalism in Non-Adversurial Lawyering, 27 Fla. St. U. L. Rev. 153. 162 (1999).
[4] იხ. https://www.mediate.com/articles/SturrockJ35.cfm
[5] დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი, 2013, 12
[6] Dr Felix Steffek LLM (Cambridge), Mediation in the European Union: An Introduction, June 2012,2

დასრულდეს ურთიერთშეთანხმებით, რომელიც შემდგომში, მათ შორის იქცევა ცივილური ურთიერთობის საფუძვლად.

თუმცაღა, მედიაციის პროცესი ყოველთვის შეთანხმებით როდი სრულდება. მხარეებს პროცესის მსვლელობისას, აქვთ საშუალება, გააცნობიერონ დავის შინაარსი, მიიღონ ინფორმაცია, რომელიც შემდგომში დავის დასრულების წინაპირობა გახდება. მედიაციას მხარეებისთვის ყოველთვის დადებითი შედეგი მოაქვს. ის ორიენტირებულია დავის მხარეების ინტერესები მაქსიმალურად იქნეს დაცული და მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ორივე მხარისთვის იქნება მომგებიანი და პრიორიტეტული. სწორედ ამიტომაა, რომ მედიაციას ხშირად ორივე მხარისთვის მომგებიან პროცესად ახასიათებენ[7].

მოგეხსენებათ, 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ", რომელიც მოიცავს არაერთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა მედიაციის სისტემის განვითარება, მხარეების ინტერესების დაცვა, მედიაციის წარმართვის პრინციპები და სხვ. სწორედ, რომ წინამდებარე ნაშრომი შეეხება მედიაციისთვის მახასიათებელ პრინციპებს[8] და მედიატორის პროფესიული საქმიანობის ეთიკურ სტანდარტებს. ეთიკა შესაძლებელია რეფლექსურ დისპიცლინას შევადაროთ, რადგან სწორედ, ეთიკის მეშვეობით ხდება ადამიანის ქცევის შეფასება და შემოწმება. მედიატორის პროფესიული ქცევის წესის განსაზღვრა დაკავშირებულია მედიაციის პროცესის რეგულირების სტანდარტებთან. როგორც

[7] ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი 2018, 12
[8] იხ. საქართველოს კანონი მედიაციის შესახებ, მუხლი 3

წესი, აღნიშნული წესები განსაზღვრულია სახელმწიფო კანონით, სხვა შემთხვევაში კი პროფესიული ქცევის კოდექსებიდან.[9]

მედიატორის ეთიკური ქცევა, ეთიკური პასუხისმგებლობა და ეთიკური სტადარტები მნიშვნელოვანი ინსტიტუტია პროფესიული საქმიანობის დროს, ვინაიდან სწორედ, რომ უამრავი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება ეთიკურ ნორმებს საჭიროებს. ეთიკა ცხოვრების ყოველდღიური მორალური სახელმძღვანელოა, რომელიც აღწერს საზოგადოებაში მისაღებ ქცევას. ქცევა კი განისაზღვრება წესების, პრინციპებისა და ფასეულობების დადგენის საფუძველზე. მედიატორის ეთიკური პასუხისმგებლობა ბევრ კრიტერიუმს მოიცავს, მათ შორისაა პატიოსნება, სანდოობა, სამართლიანობა, თანასწორობა და ა.შ. მედიატორის პროფესიული ეთიკის კოდექსის შემუშავება მნიშვნელოვანია ქცევის სტანდარტების განვითარებისთვის, დავის მხარეების კეთილდღეობისთვის, პირადი და საქმიანი ურთიერთობის განვითარებისთვის. ეთიკის კოდექსი ქცევის პროფესული სტანდარტების შემუშავების საუკეთესო საშუალებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, მედიატორის პროფესიული საქმიანობის ეთიკური სტანდარტები საჭიროებს სახელმწიფო კანონით რეგულირებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნაშრომი მოიცავს ხუთ თავს, სადაც განხილული იქნება ძირითადად მედიაციის წარმართვის პრინციპები, მედიატორის პროფესიული საქმიანობის ეთიკური სტანდარტები- ეთიკური პასუხისმგებლობა, ინფორმაციის მიწოდებისა და კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება, მედიატორისა და მხარის ურთიერთობა და სხვ.

[9] Louise Otis and Catherine Rousseau-Saine, THE MEDIATOR AND ETHICAL DILEMMAS: A PROPOSED FRAMEWORK FOR REFLECTION, 7.

II. მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ისტორიული წარმომავლობა და თანამედროვე სამართლებრივი მნიშვნელობა

1. მედიაციის წარმოშობის მოკლე ისტორიული მომიხილვა

მედიაცია ყოველთვის მსოფლიო კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო. მედიაციის წარმომავლობის უძველეს მაგალითს ძველ შუმერულ წყაროებში ვაწყდებით. სასამართლო მოსმენამდე, დავა განიხილებოდა შუამავლის ე.წ „მაშკიმ“-ის მიერ, რომლის ვალდებულება იყო მხარეებს დახმარებოდა დავა გადაეწყვიტათ ორივე მხარის ინტერესის გათვალისწინებით[10].

დავის გადაწყვეტის პრაქტიკის დამკვიდრებას ძველ საბერძნეთშიც ვხვდებით, რომელიც თარიღდება ძვ.წ 4000 წლით.[11] ბერძნები აღნიშნულ ე.წ მედიაციის ინსტიტუტს საზოგადოებრივ არბიტრაჟს უწოდებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი არბიტრაჟი გამოიყენებოდა, მისი მთავარი მიზანი იყო დახმარებოდა მხარეებს წარმოქმნილი უთანხმოების და დავის გადაწყვეტაში. იმ შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეძლებდნენ შეთანხმების მიღწევას, არბიტრს უფლება ჰქონდა მათთვის განესაზღვრა სასჯელი.[12] არისტოტელეს თანახმად, ყველა კაცი ე.წ “მედიატორის“ ფუნქციას ასრულებდა მათი სამოცი წლის განმავლობაში, რომლებიც ისმენდნენ ყველა იმ პირის სამოქალაქო საქმის დავას, რომლებიც ცდილობდნენ დროში წელვადი და ოფიციალური სასამართლო პროცესები აერიდებინათ თავიდან.

---

[10] იხ. http://www.baadr.com/en/history.php, HISTORY OF MEDIATION
HISTORY OF MEDIATION - COURT-REFERRED MEDIATION - Peer Mediation, Edited and adapted by Zoya Gerasimova

[11] იხ. https://www.worldcat.org/wcpa/servlet/DCARead?standardNo=0787967963&standardNoType=1&excerpt=true

[12] იხ. http://www.baadr.com/en/history.php, HISTORY OF MEDIATION
HISTORY OF MEDIATION - COURT-REFERRED MEDIATION - Peer Mediation, Edited and adapted by Zoya Gerasimova

არბიტრისთვის საქმის გადაცემა ნებაყოფლობითი ხასიათის იყო, მაგრამ არბიტრის არჩევის საკითხი მხარეების კომპეტენციას არ მიეკუთვნებოდა. არბიტრის თანამდებობაზე არჩეულ ნებისმიერ პირს უნდა შეესრულებინა მინიჭებული ვალდებულება, უარის შემთხვევაში, ის დაკარგავდა სამოქალაქო უფლებებს.[13]

არისტოტელე და ციცერონი არბიტრაჟის ინსტიტუტს განმარტავდნენ, როგორც სასამართლო ალტერნატივას. ციცერონი ამბობდა, რომ პირი, რომელიც სასამართლოს მიმართავდა დავის გადაწყვეტის მოლოდინით, იგი ან გაიმარჯვებდა, ან წააგებდა. საზოგადოებრივი არბიტრაჟის შემთხვევაში კი, პირი თუ არ მიიღებდა ყველაფერს, არ დაკარგავდა არაფერს. [14]

მედიაცია ჩინეთის კულტურის უდიდესი ნაწილი იყო ჯერ კიდევ ათასობით წლის განმავლობაში. დავის გადაწყვეტის დროს, ნეიტრალური დამხმარე პირი უძველესი დროიდან არსებობს.[15]დიდმა ფილოსოფოსმა კონფუციმ 2500 წლის წინ აღნიშნა, რომ დავის გადაწყვეტის დროს, საუკეთესო გამოსავალი მონაწილე მხარეთა შერიგება იყო, თუმცა ეს რაიმე ფორმით დაწესებული არ უნდა ყოფილიყო, თუნდაც არაპირდაპირი გზით.[16] სწორედ, რომ კონფუცის ფილოსოფიის საფუძველზე, დღესაც, ჩინეთის კულტურასა და ტრადიციებში, მედიაცია მიჩნეულია დავის მოგვარების პირველ შესაძლო საშუალებად.

---

[13] იხ. https://www.worldcat.org/wcpa/servlet/DCARead?standardNo=0787967963&standardNoType=1&excerpt=true

[14] იხ. https://www.worldcat.org/wcpa/servlet/DCARead?standardNo=0787967963&standardNoType=1&excerpt=true

[15] იხ. https://weinsteininternational.org/mediation-in-china/

[16] იხ. http://www.baadr.com/en/history.php, HISTORY OF MEDIATION
HISTORY OF MEDIATION - COURT-REFERRED MEDIATION - Peer Mediation, Edited and adapted by Zoya Gerasimova

იაპონიაში ისტორიული წყაროების მიხედვით, დავა გადაწყვეტილად ჩაითვლებოდა თუ დავის მხარეები შერიგდებოდნენ. აღნიშნული საქმიანობა ძირითადად ხორციელდებოდა ქვეყნის ლიდერების შუამავლობით.[17]

რაც შეეხება საქართველოს, მედიაცია წინასახელმწიფოებრივ ეტაპზევე იყო განვითარებული, რომელსაც შუა საუკუნეების საქართველოშიც ვხვდებით.

ტერმინი მედიატორი „მედიანადან" მოდის[18] და იგი „შუას" აღნიშნავს. სამწუხაროდ, ზუსტად არ არის ცნობილი, ქართულ ლიტერატურაში როდის დამკვიდრდა აღნიშნული ტერმინი, თუმცა ფაქტია, რომ შუამავალი მხარეებს შორის მოლაპარაკებების დროს დიდ როლს ასრულებდა. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, მედიაციის ინსტიტუტის განვითარებას საქართველოში სხვადასხვა კუთხეში ვხვდებით, - ხევსურეთში, ფშავში, სვანეთში, აფხაზეთში.

საბჭოთა კავშირის დროს, კავკასიის მთებში აფხაზი ხალხი წარმატებით იყენებდა მედიაციისა და შუამავლობის ინსტიტუტს, რომელიც პოპულარობით სარგებლობდა ადგილობრივ ტომებში დავის გადაწყვეტის და პრობლემის მოგვარების მიზნით. მედიატორები ჩვეულებრივ, უხუცესი პატივცემული მამაკაცები იყვნენ, თუმცა, იშვიათ შემთხვევებში, ისტორიულ წყაროებში ქალების სახელებსაც ვაწყდებით. მედიატორები არსებითად აფასებდნენ ორივე მხარის ინტერესებს, საბოლოო ჯამში კი მიიღწეოდა დავის მხარეების შერიგება. შერიგება აფხაზი ხალხისთვის ყველაზე წმინდად ითვლებოდა და ნებისმიერ სასამართლო დოკუმენტზე თუ გადაწყვეტილებაზე მაღლა იდგა. [19]

---

[17] იხ. http://www.baadr.com/en/history.php, HISTORY OF MEDIATION
HISTORY OF MEDIATION - COURT-REFERRED MEDIATION - Peer Mediation, Edited and adapted by Zoya Gerasimova
[18] სოფიო ტყემალაძე, მედიაცია საქართველოში, ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, თბილის 2016, 13
[19] იხ.
https://www.worldcat.org/wcpa/servlet/DCARead?standardNo=0787967963&standardNoType=1&excerpt=true

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ მედიატორს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელწოდებით ცნობდნენ, ბჭე, რჯულის კაცი, მორევი/მორვილი/მორუალი,[20] შუაკაცი/შუამავალი, ლეფხული/ლეფხვილ,[21] მახვში,[22] მდივანბეგი და ხევისბერი[23] და სხვ.

ბჭე ძველ ქართულ მწერლობაში სადავო საქმის გამრჩევად და განსახილველად მოიხსენიებოდა,[24] შედარებით გვიან კი მოსამართლედაც იწოდებოდა. აღნიშნულ ტერმინს მე-12 საუკუნიდან მე-19 საუკუნემდე ცვლილება არ განუცდია და იგი გამოიყენებოდა მოსამართლე-მედიატორის მნიშვნელობით.[25]

ტერმინი რჯულის კაცი ხევსურეთში გამოიყენებოდა, მორევი/მორვილი/მორუალი კი სვანეთში, აგრეთვე, მეცქულარი/მოციქული/ნემსგამზდელი[26] იყო პირი სვანეთში, რომელიც ცდილობდა, მხარეები შერიგების პროცესზე დაეთანხმებინა, სანამ სამედიატორო პროცესი წარიმართებოდა მეცქულარის მიერ. სვანეთში, გარდა ზემო

---

[20] სოფიო ტყემალაძე, მედიაცია საქართველოში, ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, თბილის 2016, 14

[21] სოფიო ტყემალაძე, მედიაცია საქართველოში, ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, თბილის 2016, 14

[22] ირაკლი ყანდაშვილი. საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი 2018,223

[23]ალექსანდრე წულაძე, სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, თბილისი 2016, 120

[24] სოფიო ტყემალაძე, მედიაცია საქართველოში, ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, თბილის 2016, 13

[25] ალექსანდრე წულაძე, სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, თბილისი 2016, 121

„ .. *როგორც ეს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია მითითებული, „სადავო საქმის განსახილველად არჩეული მოსამართლე_ მედიატორის“ მნიშვნელობით გამოიყენებოდა, საინტერესოა ასევე, სამართლის დოქტორ, სულხან ონიანის მოსაზრებაც, რომ „ველ ქართველთა ცნობიერებაში, სამართალი, უპირველეს ყოვლისა, აღიქმებოდა, როგორც შუამავლობის, ურთიერთობის ხერხი და არა როგორც, დღეს - ნორმათა შექმნისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი“.*

[26] მედიაცია საქართველოში, ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, სოფიო ტყემალაძე, თბილის 2016, 14

აღნიშნული, ტერმინებისა, გამოიყენებოდა კიდევ მახვში, რომელსაც ძირითადად ოჯახის უფროსებს უწოდებდნენ.[27]

თანამედროვე საქართველოში, აუცილებელია აღვნიშნოთ, ილია ჭავჭავაძის როლი მედიაციის ინსტიტუტის განვითარებაში. იგი არა მხოლოდ მომრიგებელი მოსამართლე- მედიატორი გახლდათ, არამედ მან უდიდესი შრომა გასწია საქართველოში მედიაციის კულტურა დამკვიდრებულიყო. სწორედ, რომ მის სახელს უკავშირდება სასამართლოში სამართლებრივი დავების მორიგებით დამთავრების საკითხი,[28] მაგ: შუამავალი ვალდებული იყო მოეწესრიგებინა ურთიერთობა და მორიგებით დაესრულებინა დავა ყმობიდან გამოსულ გლეხებსა და მემამულეებს შორის, რომელიც ძირითადად მიწის საკუთრების საკითხებს მოიცავდა.[29] გარდა ამისა, 1886 წლის 19 აპრილს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა მისი სტატია, სადაც ილია „მომრიგებელი სასამართლოების შესახებ“ წერდა: „ხალხს სწრაფი და მარტივი, უფორმალო სამართალი სჭირია, დარღვეულ უფლებათა მსწრაფლ აღდგინება უნდა.“ [30] აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ვიმსჯელოთ, რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ილია ჭავჭავაძე სასამართლო დავების მორიგებით დამთავრების საკითხს, ვინაიდან მას მიაჩნდა, რომ მორიგება ერთადერთი გზა იყო დავა გადაწყვეტილიყო სწრაფად და ეფექტურად. მისი მიზანს წარმოადგენდა სასამართლოში ხანგრძლივი სამართლებრივი დავის წარმოებები, აგრეთვე მაღალი საპროცესო ხარჯები მინიმუმამდე დაეყვანა და შეემცირებინა, რაშიც გამოსავალს მხოლოდ დავის მორიგებით დასრულებაში ხედავდა.

---

[27] სოფიო ტყემალაძე, მედიაცია საქართველოში, ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, თბილის 2016, 14 *„სოფელი მახვშიობ“ - სოფლის უფროსს, თავკაცს.20 მახვშები პატივცემული ადამიანები იყვნენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მხარეთა შერიგების პროცესზე დასათანხმებლად“*

[28] ალექსანდრე წულაძე, სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, თბილისი 2016,123

[29] იხ.https://www.tabula.ge/ge/tablog/93203-iuristi-ilia-chavchavadze

[30] ნინო გვენეტაძე, ევა გოცირიძე, ვახტანგ თორდია, მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე, თბილისი, 2017, 63

მაშასადამე, სამედიატორო სამართალი ქართული კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო უხსოვარი დროიდან, რომელმაც დროთა განმავლობაში გარკვეული ცვლილებები განიცადა. ილია ჭავჭავაძის სტატიებმა და პუბლიკაციებმა სტიმული მისცა დავის ალტერნატიული საშუალების - მედიაციის ჩამოყალიბებას და XXI-ე საუკუნის მართლმსაჯულების[31] განვითარებას. ეჭვგარეშეა, რომ ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა სავსე იყო პროგრესული და დემოკრატიული იდეებით.

2. მედიაცია, როგორც სამართლებრივი კონფლიქტების გადაწყვეტის პრივილეგირებული საშუალება

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი [32] იცავს ადამიანის ძირითად უფლებას და თავისუფლებას მიმართოს სასამართლოს ნებისმიერი მისი კონსტიტუციურად დაცული და გარანტირებული უფლებების დარღვევის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში.სასამართლო სამართლიანი მართლმსაჯულების უპირობო გარანტად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც ემსახურება სამართლიანობის აღდგენას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ნებისმიერი პირის მიერ მხოლოდ სასამართლოსთვის მიმართვიანობის უფლებაა უმაღლესი საკანონდმებლო აქტით მოწესრიგებული, დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებსაც ვიცნობთ. XXI-ე საუკუნეში სასამართლო პროცესების და მიმართვინაობის გარდა, დავის გადაწყვეტის სხვადასხვა ალტერნატიული მექანიზმები ვითარდება, რომელიც აგრეთვე ეფექტური შედეგის მიღწევას ემსახურება და პირდება მხარეებს დავა გადაწყდეს ნაკლები დანახარჯით მინიმალურ დროში. სასამართლოს გარდა, დავის გადაწყვეტა ბევრად

[31] ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი 2018, 226

[32] საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტი -„ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს"

მოქნილი, მარტივი საშუალებებით შეიძლება, როგორიცაა მედიაცია, არბიტრაჟი და მოლაპარაკება.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი ზოგადი ტერმინია და გამოიყენება ისეთი მიდგომების და ტექნიკის დასადგენად, რომელიც მიზნად ისახავს დავების არაკონფლიქტური გზით მოგვარებას. იგი ამ მიდგომების უამრავ მნიშვნელოვან სპექტრს მოიცავს და წარმოადგენს პირდაპირ გზას დავის მხარეების საერთო გამოსავლისა და შედეგის მიღებაში. ADR (alternative dispute resolution) ეხმარება მხარეებს მესამე მხარის ჩართულობით, მიაღწიონ ურთიერთშეთანხმებას. მესამე მხარის ჩარევა ყველაზე ეფექტური მაშინაა, როდესაც მხარეების ურთიერთობა შედის ჩიხში და საჭიროებს მედიატორის მიერ სამომავლო ურთიერთობების და დიალოგის დასახვას დავის დასრულებას თითოეული მხარის ინტერესის გათვალისწინებით. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარება ხელს უწყობს მხარეებს ისწავლონ კონფლიქტების ეფექტური მართვა, თავიდან აიცილონ ესკალაცია და დესტრუქცია[33] და შეიმუშავონ ახალი ინოვაციური, შემოქმედებითი იდეები პრობლემის მოსაგვარებლად.

დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მსოფლიო საჭიროებს ისეთი მართლმსაჯულების შემოღებას და განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს პრობლემის გადაჭრის ეფექტურად მართვაში. მედიაცია ჩვეულებრივად, იწყება დაუყოვნებლივ და გადაწყვეტილება მიიღება რამდენიმე კვირაში. გარდა ამისა, მისი ერთ-ერრთი მთავარი პრიორიტეტი იმაში მდგომარეობს, რომ მხარეები უშუალოდ არიან ჩართულნი მოლაპარაკების პროცესში და შეუძლებელია ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელზეც თანხმობას არ განაცხადებენ. შესაბამისად,

[33] Yona Shamir, Alternative dispute resolution approaches and their application, , 2001-2003, 9

მხარე უფლებამოსილია თვითონ გააკონტროლოს საკუთარი პოზიცია და დააფიქსიროს იდეები მოლაპარაკების პროცესის მსვლელობისას.

 მედიაციის პროცესს შესაძლოა მოლაპარაკების „ჰიბრიდული“[34] ფორმა ვუწოდოთ, ვინაიდან დავის გადაწყვეტის მიზნით მხარეები პროცესში რთავენ აბსოლუტურად დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ მესამე პირს - მედიატორს, მოლაპარაკების ურთიერთშეთანხმების დასრულების მოლოდინით. მედიაცია შესაძლოა აგრეთვე სასამართლოს კლასიკურ მეტოქედაც მოვიხსენიოთ, ვინაიდან იგი ორიენტირებულია მხარეების რეალურ ინტერესებსა და საჭიროებებზე. თუმცა, სინამდვილეში, თუ დავფიქრდებით, სასამართლოებისთვის ძალიან მომგებიანი და სასარგებლოა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარება საქმეთა ნაკადის შემცირების თვალსაზრისით.[35]

მედიაცია არამბოჭავი მოდელია, ვინაიდან მედიატორი არ არის გადაწყვეტილების მიღებისა და სამართალშეფარდების უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი.[36] მისი საშუალებით ვახდენთ, როგორც პირადი, ისე პროფესიული და ბიზნეს ურთიერთობების დასტაბილურებას. მედიაციის ერთ-ერთი ყველაზე შეუმჩნეველი სარგებელი[37] არის ის, რომ იგი მხარეების მომავალში ნორმალური ურთიერთობის[38] შენარჩუნებასა და გაგრძელებაში ეხმარება. მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობები ხშირად ნადგურდება სასამართლოში დავის სამართალწარმოების დროს, მაშინ როცა, მედიაცია ბევრად თანამშრომლობითი და არაკონფლიქტური

[34] იხ. https://www.mediate.com/articles/NaturalHistory.cfm

[35] ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი 2018, 23

[36] სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ალექსანდრე წულაძე, თბილისი 2016,14

[37] იხ. https://bluehorizoncounselling.com.au/blog/mediation/why-mediation-is-better-than-going-to-court/

[38] ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი 2018, 23

პროცესია. მისი მეშვეობით, მხარეების ურთიერთობები ხშირ შემთხვევაში გადარჩენილია.

დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების გამოყენება მხარეთა ნებაყოფლობითობის პრინციპზეა დამყარებული, რომელზეც შემდგომში უფრო ვრცლად ვისაუბრებ. იგი მხარის ინტერესებზე და არა უფლებებზეა[39] ორიენტირებული, რომელიც ნათლად გვაძლევს ნიშანს იმისა, რომ პროცესის დროს, მედიატორმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ორივე მხარის ინტერესი და დავის მოგვარების ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი შესთავაზოს მხარეებს. გადაწყვეტილება ზიანს არ უნდა აყენებდეს ერთ მხარეს და მხოლოდ მეორე მხარის სასარგებლოდ არ უნდა იყოს გადაწონილი. მედიატორი ვალდებულია მხარის ინტერესების განხილვის მომენტში, გამოააშკარაოს და გაითვალისწინოს დავის ორივე მხარის საჭიროებები, ღირებულებები და მოლოდინები. მედიატორს არ გააჩნია რაიმეს მოთხოვნის უფლება, მაგ. მხარეებს მოსთხოვოს მორიგებით საქმის დასრულება ან თვითონებურად გადაწყვიტოს დავა. კონფლიქტის მოგვარება მხარების თანხმობის გარეშე დაუშვებელია. მედიატორი მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი პირია, რომელმაც ცივი გონებით, უნდა მიიღოს ისეთი რაციონალური გადაწყვეტილება, რომელიც არ ავნებს არცერთი მხარის ეკონომიკურ, სოციალურ თუ პოლიტიკურ მდგომარეობას. მედიაცია სრუქტურირებული მოლაპარაკების პროცესია[40], რომელსაც უძღვება პროფესიონალი მედიატორი. მედიატორი არის ნეიტრალური პირი, რომელიც ცდილობს მხარეებს დაეხმაროს კონსესუსის მიღწევაში.პროცესი იურიდიული ფაქტორებით არ შემოიფარგლება,

[39]ალექსანდრე წულაძე, სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, თბილისი 2016, 13

[40] საქართველოში,დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები ,თბილისი 2013 ,12

თავისუფალი და არაფორმალურია. მედიატორის დახმარებით, მხარეების მიერ მიღებული გადაწყვეტილება ახალი ხელშეკრულების სახეს იღებს, იგი შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტი არ არის და თითოეული პუნქტის თუ ნაწილის შესრულება მხარეთა პასუხისმგებლობაზეა დამყარებული.

ADR არის კონცეფცია, რომელიც დავის გადაწყეტის მრავალფეროვან მექანიზმს მოიცავს და გვთავაზობს სამართალწარმოების ალტერნატივას. მისი მეშვეობით, დავის მხარეები თავიდან იცილებენ სასამართლოსთან დაკავშირებულ დროში გახანგრძლივებულ პროცესებს და დიდ ფინანსურ დანახარჯებს. ადამიანი ოდითგანვე მიმართული იყო დავები მოქნილი და ეფექტური საშუალებით გადაეწყვიტა.სწორედ, ამან განაპირობა, მსოფლიოში დავის ალტერნატიული საშუალებების ბუნებრივი ჩამოყალიბება და განვითარება. კონფლიქტების ეფექტური მენეჯმენტი ნებისმიერი საქმიანობის განუყოფელ ნაწილად იქცა.

მედიაციის პროცესის მსვლელობისას მედიატორის როლი ძალიან მნიშვნელობვანი საკითხია. ბრიტანეტის უნივერსიტეტის, ერთ-ერთმა პროფესორმა შეიმუშავა მედიატორისთვის მახასიათებელი ოთხი ძირითადი ვალდებულება:

- მედიატორი მოქმედებს მხარეებს შორის კომუნიკაციის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე
- მედიატორი ხელს უწყობს მხარეებმა გაცვალონ ერთმანეთში სანდო ინფორმაცია
- მედიატორმა უნდა შეძლოს დავის მხარეებს შორის მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება

- მედიატორმა ხელი უნდა შეუწყოს „აქტიურ მედიაციას“, რაშიც იგულისხმება სურვილი კოოპერატიული მოლაპარაკების[41]

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, მოლაპარაკების პროცესში მედიატორის როლს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. მისი საქმიანობის სფერო არა მხოლოდ შეთანხმების მიღწევას წარმოადგენს დავის მხარეებს შორის, არამედ მისი კომპეტენციის ფარგლებში შედის აგრეთვე მხარეებს შეუნარჩუნოს როგორც მეგობრული, აგრეთვე სამომავლო ურთიერთობები.

შეჯამების სახით, რომ ვთქვათ, მედიაცია დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს შორის ყველაზე პრივილეგირებული, მისაღები, მოქნილი, ეფექტური საშუალებაა მთელი რიგი მიზეზების გამო, მედიაციის საქმეებს ბევრი მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვთ ტრადიციულ სასამართლო განხილვებთან მიმართებაში:

- სწრაფი -მედიაცია დღეების ან კვირების განმავლობაში გრძელდება, მაშინ როცა სასამართლო პროცესებს თვეები ან წლები სჭირდება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის.
- იაფი - მედიაციას ბევრად ნაკლები ფინანსური დანახარჯი აქვს მხარეების მიერ, ვიდრე სხვა დანარჩენ დავის გადაწყვეტის საშუალებებს. მედიატორის დაქირავება ეკონომიკური თვალსაზრისით ნაკლებ ხარჯიანია, ვიდრე ადვოკატის დაქირავება.
- არაფორმალურობა - მედიაციის ნაკლებად ფორმალური მხარე, დავის მხარეებს სშუალებას აძლევს ერთმანეთთან უფრო მეტად იყვნენ დაკავშირებულნი, განიხილონ სადავო საკითხები ეფექტურად მედიატორის დახმარებით.

[41] George Amoh, Article- MEDIATION -The Preferred Alternative for Conflict Resolution, , Accra Ghana,1

- ინარჩუნებს ურთიერთობებს - ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა ისაა, რომ მედიაციას შეუძლია დაეხმაროს მხარეებს საქმიანი და პირადი ურთიერთობების შენარჩუნებაში, რაც შესაძლოა განადგურდეს სხვა დავის გადაწვეტის საშუალებების დროს. მედიაცია თანამშრომლობითი პროცესია.
- უკეთესი შედეგი - მიუხედავად იმისა, რომ მედიაციაში არ არსებობს გამარჯვებული ან დამარცხებული მხარე, არ ითხოვენ ბრალის ან დანაშაულის აღიარებას, დავა ხშირ შემთხვევაში სრულდება ახალი ხელშეკრულების საფუძველზე.[42]

მედიაცია დავის მოგვარების მიზნით, ყველაზე ეფექტური სტრატეგიაა სხვა საშუალებებისგან განსხვავებით, თუმცა მისი წარმატება დამოკიდებულია პროცესის გააზრებასა და მედიატორის სწორად შერჩევაზე. შერჩევის წესები განსაზღვრულია საქართველოს კანონში „მედიაციის შესახებ“ მე-4 დ ამე-5 მუხლებით.[43] თუ მედიატორი ამ მუხლების გათვალისწინეით იქნება შერჩეული, შესაძლებელია ვთქვათ, რომ მედიაციის პროცესი იქნება ეფექტური და მომგებიანი ორივე მხარისთვის. კარგი მედიატორი ცდილობს შთაბეჭდილება მოახდინოს დავის მხარეებზე, რათა მოლაპარაკების დროს ისინი ერთმანეთთან იყვნენ გახსნილები და მიაწოდონ ყველა ის ინფორმაცია, რაც საჭიროა დავის მოგვარებისთვის. თუ მედიატორმა ეს ვერ მოახერხა, შეიძლება ითქვას, რომ მედიაციის მიზანი დამარცხებულია. თუ მედიატორის ქცევა ასახავს გულწრფელობას, სამართლიანობას და სიძლიერეს, მაშინ მხარეებიც მეტად თანამშრომლობით დამოკიდებულებას

[42] The Advantages of Mediation Cases over Traditional Lawsuits, Created by FindLaw's team of legal writers and editors | Last updated June 20, 2016

[43] საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ 2020 წლის 1იანვრიდდნა ამოქმედდა. ამ კანონის მეოთხე და მეხუთე მუხლები მოიცავს მედიატორის არჩევის და დანიშვნის საკითხებს, მედიატორის დანიშვნის დამატებით მოთხოვნებს, კერძო მედიაციის დროს მედიატორის დანიშვნის საკითხს, მედიატორის შერჩევის დროს გასათვალისწინებელ გარემოებებს.

აყალიბებენ ერთმანეთის მიმართ, როგორც მედიაციის პროცესში, აგრეთვე სამომავლო ურთიერთობებშიც.

მართლმსაჯულების ეფექტური წარმართვისთვის კანონის[44] მიღება და ამოქმედება უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო. დღეს საკანონდმებლო დონეზე რეგულირებადი მექანიზმი გვაქვს, რომელიც დროთა განმავლობაში მეტ განვითარებას ჰპოვებს. მედიაცია არა მხოლოდ დავის მხარეებს შორის გადაწყვეტილების მიღების პროცესს წარმოადგენს, არამედ მას გლობალურ პოლიტიკაშიც[45] აქტიურად გამოიყენებენ.

III. მედიაციისა და დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებების ძირითადი განსხვავებები

[44] საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“

[45] ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი 2018, 43

„ .. *რისი გამორჩეული მაგალითი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები თეოდორე რუზველტი, ჯიმი კარტერი და მათ შორის ბილ კლინტონი არიან, რომლებიც თავს მედიატორად და აქტიურ მომლაპარაკებლად მიიჩნევდნენ“.*

1. მედიაცია და მოლაპარაკება

მედიაცია და მოლაპარაკება ხშირ შემთხვევაში ერთსა და იმავე კონტექსტში მოიხსენიება, თუმცა სინამდვილეში ეს არ არის სწორი მიდგომა.

ჩვეულებრივ, მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ დავის მხარეები და არ არსებობს მესამე მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი პირი - მედიატორი, რომელიც მხარეებს შეთანხმების მიღწევაში ეხმარება. მოლაპარაკების დროს, მხარეები ცდილობენ ერთმანეთისგან მაქსიმალური ინფორმაცია მიიღონ, რომლის უნებლიეთ გაზიარებამაც შესაძლებელია მხარეს გამარჯვების უპირატესობა მოაპოვებინოს. მოლაპარაკება სასარგებლოა იმ მხარისთვის, რომელსაც გაცნობიერებული აქვს თავისი საჭიროებები დავიდან გამომდინარე და კარგად არის მომზადებული მოლაპარაკების პროცესის წარმართვისთვის.

როგორც აღვნიშნე, მოლაპარაკების დროს სადავო მხარეებს მოეთხოვებათ ერთამენთთან შეხვედრა, ვინაიდან ამ პროცესში მესამე პირი არ არის ჩართული. შესაბამისად დავის ორივე მხარის შეხვედრა აუცილებელია, რათა შემდგომში მოხდეს თითოეული მათგანის მოთხოვნის, საჭიროების და აზრის მკაფიო, აშკარა დაფიქსირება. მოლაპარაკებისგან განსხვავებით, მედიაცია მეტად მოქნილი და ეფექტურია იმ თვალსაზრისით, რომ ის მედიატორთან ცალკე საუბრის საშუალებას გვაძლევს. მედიატორს შეუძლია უზრუნველყოს თითოეული მხარის უსაფრთხო და კონფიდენციალური პირადი სივრცე.

მედიაციის პროცესის დროს, სიტუაცია მეტად კონტროლირებადია. მედიატორი არის გამოცდილი, პროფესიონალი მესამე პირი, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს

და ეხმარება პროცესს მორიგებით დასრულებაში. მოლაპარკება კი ხორციელდება უშუალოდ მხარეების მიერ. [46]

მოლაპარაკების დროს, მხარეებმა შესაძლოა ურთიერთმბოჭავი ახალი ხელშკრულება მიიღონ. მედიატორს არ გააჩნია გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება, როგორც ეს არბიტრაჟის და სასამართლო პროცესის დროს ხდება. მხარეები მედიაციის ნებაყოფლობით ასპექტებზე თანხმდებიან, რომელიც ანიჭებს მათ მეტ თავისუფლებას გადაწყვეტილების მიღების დროს.[47] მოლაპარაკების პროცესისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს მხარის დამაჯერებლობა. ასეთ დროს არეგუმენტებით გაჯერებული და უპირატესობის მქონე მხარე მეორე მხარეს „აიძულებს“ და „ზეწოლას ახორციელებს“ მისთვის სასიკეთო შედეგების მქონე გადაწყვეტილების მიღებაზე.

და ბოლოს, ცხრილის სახით მინდა წარმოგიდგინოთ მედიაციასა და მოლაპარაკებას შორის განმასხვავებელი ნიშნები:

მოლაპარაკება	**მედიაცია**

[46] იხ. https://www.resolutionmatters.com.au/negotiation/
[47] იხ. http://www.corlewlaw.com/index.php/tutorials/item/21-is-there-a-difference-between-mediation-and-negotiation

1. მხარეები თანხმდებიან ითანამშრომლონ ერთმანეთთან დავის მოგვარების მიზნით 2. მხარეები ხვდებიან ერთმანეთს 3. მხარეები ერთმანეთს ურთიერთმბოჭავი ახალი ხელშეკრულებით ავალდებულებენ არსებული პირობების შესრულებაში 4. მხარეებს თავიანთი ინტერესები, საჭიროებები და მოთხოვნები გააჩნიათ ერთამენეთის მიმართ 5. ხშირ შემთხვევაში მოლაპარაკება სრულდება მარცხით, მხარეების კონფლიქტისა და არამეგობრული ურთიერთობის გამო 6. მხარეების ურთიერთშეუთანხმებლობას პარტნიორული ურთიერთობა ჩიხში შეჰყავს[48] 7. მოლაპარაკება არაფორმალური პროცესია	1. მხარეები თანხმდებიან დავა გადაწყდეს მედიატორის შუამავლობით 2. მედიატორს შეუძლია მხარეებს როგორც ერთობლივად, აგრეთვე ინდივიდუალურად შეხვდეს 3. მედიატორს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება არ გააჩნია და ვერ აკისრებს მხარეებს შესრულების ვალდებულებას, როგორც ეს არბიტრის ან მოსამართლის დროს ხდება 4. მედიატორი დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი მესამე პირია 5. მედიატორის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ნდობით აღჭურვილი პირია და დავის ეფექტურად გადაწყვეტის უპირატესობა მას ენიჭება 6. თუ მოლაპარაკებები ჩიხში შედის, მხარეები მიმართავენ მედიაციას 7. მედიაცია ფორმალური პროცესია

2. მედიაცია და არბიტრაჟი

[48] იხ. https://specialties.bayt.com/en/specialties/q/361424/what-is-the-relationship-between-mediation-and-negotiation/

მედიაცია და არბიტრაჟი დავის გადაწყვეტის ისეთი ალტერნატიული საშუალებებია, რომლებიც თავიდან იცილებენ არაპროგნოზირებად, ძვირადღირებულ, დროში წელვად სასამართლო პროცესებს. ისინი, ასე ვთქვათ, დავის განხილვის კერძო ფორმებს წარმოადგენენ. [49]

მიუხედავად იმისა, რომ სამედიაციო მორიგება[50] და საარბიტრაჟო გადაწყვეტილება[51] სასამართლოს მიერ აღსრულებადი აქტებია, მათ შორის მთელი რიგი განსხვავებები არსებობს. მედიაციის პროცესის დროს, მხარეები აღჭურვილნი არიან იმ უფლებით, რომ დავის გადაწყვეტა მოხდეს მათივე ინტერესების გათვალისწინებით. მედიატორი არის მესამე პირი, რომელიც უზრუნველყოფს მხარეებს შორის დიალოგს და ხელს უწყობს დავის მხარეები ორივე მხარისთვის მისაღებ შეთანხმებამდე მიიყვანოს. არბიტრაჟის შემთხვევაში, არბიტრი „მოსამართლის“ როლს ირგებს და შეჯიბრობითობის პრინციპის საფუძველზე, მტკიცებულებების გამოკვლევისა და მოდავე მხარეების არგუმენტების შემდეგ, იღებს საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას. აღნიშნული გადაწყვეტილების გამოტანა ხორციელდება სამართლის ნორმებზე დაფუძვნებით. მედიაციის შემთხვევაში კი, მედიატორი სამართლებრივი შინაარსის გადაწყვეტილებას არ იღებს.[52] მაშასადამე, უნდა აღვნიშნო, რომ არბიტრი საქმის განხილვისა და სამართალშეფარდების უფლებით აღჭურვილი პირია, მაშინ როცა, მედიატორს ეს უფლებამოსილება არ გააჩნია.

სწორედ, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ საარბიტრაჟო საქმიწარმოება მედიაციისგან განსხვავებით მეტად ფორმალურია და თავისი

[49] იხ. https://www.alllaw.com/articles/legal/article9.asp
[50] საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, მუხლი 13
[51] საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მუხლი 44
[52] ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი 2018, 35

ფუნქციებიდან, ვალდებულებებიდან და უფლებამოსილებებიდან გამომდინარე სასამართლოს ემსგავსება. სავარაუდოა, რომ მომავალში ცვლილებები განხოციელდეს და არბიტრაჟი დავის განხილვის სასამართლო ალტერნატივად მოიხსენიონ.

მედიაციის პროცესი არბიტრაჟისგან განსხვავებით მეტად შემოქმედებითი და კრეატიულია, ვინაიდან მოდავე მხარეები სამართლის ნორმებით არ არიან შებოჭილნი. მედიაცია არამბოჭავი ხასიათის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმია და იგი მხარეებს აძლევს საშუალებას, თითოეული მათგანის ინტერესის გათვალისწინებით, მოხდეს ერთმანეთის პოზიციების დაახლოება და ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილების მიღება. საარბიტრაჟო საქმისწარმოების დროს, არბიტრი გადაწყვეტილების მიღების პროცესში, იბოჭება და იზღუდება კონკრეტული სამართლის ნორმებით.

მედიაციის საშუალებით, მხარეები იღებენ მეტად მოქნილ, ეფექტურ და სასარგებლო შეთანხმებას. საარბიტრაჟო საქმისწარმოების შედეგად კი „...დახარჯული ადამიანური თუ ფინანსური დანახარჯით ორივე მხარე დაზარალებულია, ხოლო ერთ-ერთი მხარის მიერ მიღწეული გამარჯვება მოჩვენებითი“.[53] შესაბამისად, უნდა ითქვას, რომ არბიტრაჟი იმდენად ეფექტური საშუალება არაა დავის გადაწყვეტის, რამდენადაც მედიაცია, ვინაიდან არბიტრაჟის გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, ორივე მოდავე მხარის უკმაყოფილება გამოიწვიოს.

მედიაცია მხარის ინტერესებზე დაფუძვნებული დავის გადაწყვეტის საშუალებაა, მაშინ როცა, არბიტრაჟის დროს, პრიორიტეტი ენიჭება მხარის მოთხოვნებს და უფლებებს. ვალდებულებებზე,მოთხოვნებსა და უფლებებზე დამყარებული პროცესები, რომლებიც სასამართლო და საარბიტრაჟო საქმისწარმოების დროს

[53] ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი 2018,12

ხორციელდება, პროცესუალური წესებიდან და ნორმებიდან გამომდინარე, მხარის ინტერესებისა და საჭიროებების განხილვა არ ხდება.[54] ამიტომაც, ზემოაღნიშნული სამართალწარმოებების დროს, არბიტრის და მოსამართლის მთავარ მიზანს იურიდიული შედეგის დადგომა წარმოადგენს. მედიაციის დროს კი, მხარეები თვითონ ეძებენ გამოსავალს მიიღონ ისეთი შეთანხმება, რომ ორივე მხარისთვის მისაღები აღმოჩნდეს. მხარეები სარგებლობენ მედიაციის ერთ-ერთი მთავარი პრინციპის საფუძველზე, ინტერესები და არა მოთხოვნები. [55] მედიაციის პროცესი მეტად თავისუფალია. იგი არ იბოჭება კანონდმებლობით განსაზღვრული ნორმებით, ორიენტირებულია გაირკვეს დავის მხარეების ინტერესები და მოტივაციები, რომელიც ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას იძლევა, რაც საბოლოო ჯამში, თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

მედიაციასა და არბიტრაჟს შორის საყურადღებოა კიდევ ერთი განსხვავება. მედიაციის პროცესის მსვლელობისას, დავის მხარეებს ნებისმიერ ეტაპზე აქვთ უფლება უარი თქვან მოლაპარაკებაზე და შეწყვიტონ პროცესი. საარბიტრაჟო საქმისწარმოების შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ უარი განაცხადონ პროცესზე არბიტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებულია სპეციალური დათქმა.[56] არბიტრის მიერ მიღებული

[54] ალექსანდრე წულაძე, სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, თბილისი 2016, 15

[55] ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი 2018, 66

[56] Darlene W. Janulis, თარგმანი: დარეჯან ბიძინაშვილი
იხ. http://tbappeal.blogspot.com/2012/06/vs.html

საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არის შესასრულებლად სავალდებულო[57] ორივე მხარისთვის.

მიუხედავად ბევრი განმასხვავებელი ნიშნების არსებობისა, მედიაციას და არბიტრაჟს სასამართლო საქმისწაროებასთან შედარებით, ბევრად მეტი უპირატესობა გააჩნია. მთავარი საერთო დადებითი მხარე, რაც მათ გააჩნიათ არის დამატებითი ფინანსური ხარჯების აცილება, დროის დაზოგვა და შედეგის პროგნოზირება. მედიაციის და არბიტრაჟის საქმისწარმოების პროცესში მონაწილეობას იღებს დამოუკიდებელი, მიუკეძოებელი მესამე პირი, რომელიც ზედამხედველობას უწევს პროცესს და ორიენტირებულია შედეგის დადგომისკენ- მედიაციის შემთხვევაში, დავის სამედიაციო მორიგებით დასრულებაში, არბიტრაჟის შემთხვევაში კი, საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით პრობლემის გადაჭრაში. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ახლა უკვე სამედიაციო მორიგებაც და საარბიტრაჟო გადაწყვეტილებაც სასამართლოს მიერ კანონიერად აღსრულებადი აქტებია, რომელიც მხარეებს ავალდებულებს მის შესრულებას.

მიუხედავად იმისა, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებიდან მედიაციის უპირატესობებზე ვსაუბრობ, მაინც უნდა აღვნიშნო ის გარემოება, რომ დავის მოგვარების საუკეთესო მექანიზმის არჩევა თვითონ დავის ბუნებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს. მხარე უნდა დაფიქრდეს და გააცნობიეროს წარმოქმნილი დავის შინაარსი, სადავო საკითხები და გადაწყვიტოს, მისთვის რომელი საშუალებით იქნება დავის განხილვა ყველაზე მომგებიანი - სასამართლოს, არბიტრაჟის, მედიაციისა თუ მოლაპარაკების გზით.

[57] საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“ მუხლი 39, ნაწილი 2 *„საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შესრულება სავალდებულოა საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეთათვის. ..“*

3. მედიაცია და სასამართლო

დავის გადაწყვეტის ყველაზე გავრეცელებულ საშუალებად ყოველთვის სასამართლოსთვის მიმართვა ითვლებოდა, რომელიც განმტკიცებულია სახელმწიფოში მოქმედი უმაღლესი საკანონდმებლო აქტით - საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის პირველი პუნქტით „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“.

სასამართლო საქმისწარმოების დროს, ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფაქტის გამო, მეორე მხარე იძულებულია ფაქტობრივი გარემოებების განსაზღვის შემდგომ, მხარეს სასამართლოს გზით აიძულოს ზიანის ანაზღაურება. სასამართლოში საქმის განხილვის დროს, ყურადღება ეთმობა, მოსარჩელე მხარის მოთხოვნებს და არა მის ინტერესებს, როგორც ეს მედიაციის პროცესში ხდება.

მაშინ როცა, სასამართლოში სამართალწარმოება ბევრად შრომატევადი, ემოციური, ძვირადღირებული და არაპროგნოზირებადია, მედიაცია საქმისწარმოების ხარვეზების გამოსწორების მიზნით, დროთა განმავლობაში, მეტად პოპულარული და ხელმისაწვდომი ხდება ყველასთვის.[58] სასამართლოში დავის მხარეების ბედი მთლიანად მოსამართლეზეა დამოკიდებული. სწორედ ის განსაზღვრავს მხარეების მტყუან-მართლობის საკითხს და მისი შინაგანი რწმენიდან გამომდინარე, იღებს გადაწყვეტილებას ერთ-ერთი მხარის სასარგებლოდ. მედიაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, განსხვავებულ მიდგომას ამჯობინებს, რაც ვფიქრობ, მეტად გამართლებული და მომგებიანია. მედიატორი არ არის მოსამართლე, იგი დავის განხილვაში მონაწილეობს, როგორც მესამე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი

[58] იხ. http://harmonydivorcemediation.com/faq/what-is-the-difference-between-mediation-and-litigation/

პირი. იგი ეხმარება მხარეებს მათ შორის წარმოქმდნილი დისკუსია გაუმარტივოს და ხელს უწყობს კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარებაში.

მედიაცია ეკონომიური, ნაკლებხარჯიანი და დროში მომგებიანი პროცესია სასამართლო საქმისწარმოებასთან შედარებით. მისი ბიუროკრატიული ბუნებიდან[59] გამომდინარე, მედიაციის დანერგვას, დამკვიდრებას და განვითარებას ზემოაღნიშნული ფაქტორები უწყობს ხელს. შესაბამისად, მსხვილ კორპორაციებში მედიაციის ინსტიტუტის როლი და მისი გამოყენება პრაქტიკაში მზარდია. ის, როგორც უკვე აღვნიშნე, ნებაყოფლობითი პროცესია და დამოკიდებულია მხარეების ურთიერთშეთანხმებაზე დავის გადაწყვეტის ამ გზით მოგვარებაზე. თუ მედიაცია ვერ შეძლებს დავის მხარეებს შორის კონფლიქტის მოგვარებას, საქმე უკვე სასამართლოს გადაეცემა.[60] მედიაცია ორიენტიებულია მხარის ინტერესებზე და არა მათ უფლებებზე.[61]მხარეებისთვის ყველაზე მიმზიდველი მაინც ფულის დაზოგვის სარგებელია. სასამართლოსთვის თავის არიდებით მხარეები იცილებენ ძვირადღირებულ სასამართლო პროცესის ხარჯებს.

  მედიაცია მხარეებს ეხმარება გამოარკვიონ ურთიერთობაში დაშვებული შეცდომები და ხარვეზები, გაანალიზონ საკუთარი პირადი პრობლემები და თვიტონვე უხელმძღვანელონ მედიაციის პროცესს მედიატორის შუამავლობით. შესაბამისად, დავაც წყდება მხარეების მიერ მათთვის მისაღების გადაწყვეტილების შემდეგ.

---

[59] ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი 2018. 50

[60] სასამართლოსთვის საქმის გადაცემაში არ იგულისხმება მედიატორის მიერ ავტომატურად საქმის გადაცემა მოსამართლისთვის. მხარეებს რეალურად, კონფლიქტის მოგვარების სხვა ალტერნატივა აღარ რჩებათ და მიმართავენ სასამართლო საქმისწარმოებას დაზარალებული მხარის აღიარების მოთხოვნით, ზიანის ანაზრაურების მოთხოვნით და სხვა..მოთხოვნების განსაზღვრა დამოკიდებულია მოსარჩელეზე.სასამართლოსთვის მიმართვა არასავალდებულო ხასიათისაა და იგი დამოკიდებულია მხარეების სურვილზე

[61]ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი 2018. 50

სამწუხაროდ, პროცესის წარმართვის უპირატესობას არ იძლება სასამართლო. მოსამართლე სასამართლო საქმისწარმოების და გადაწყვეტილების მიღებით აღჭურვილი პირია და მის კომპეტენციას მიეკუთვნება მხარეებთან შეთანხმების გარეშე მიიღოს გადაწყვეტილება რომელიმე მხარის სასარგებლოდ. ამიტომაც არის, რომ სასამართლოში ერთი პირი გამარჯვებული და მოგეულია, მეორე მხარე კი დამარცხებული. წარმატებული მედიაციის შემთხვევაში, ორივე მხარე „გამარჯვებულია“.

ბოლოს, შეჯამების სახით, მინდა მოკლედ ვისაუბრო სასამართლოსა და მედიაციას შორის ძირითად განმასხვავებელ ნიშნებზე:

- მედიაცია დაბალბიუჯეტიანი პროცესია, რომელსაც მეტად ხელმისაწვდომი ფასები აქვს. სასამართლო პროცესის ხარჯი გაცილებით მეტია და ეკონომიური თვალსაზრისით არამომგებიანი
- მედიაციაში განსახილველი საკითხები რჩება კონფიდენციალური, მაშინ როცა სასამართლო პროცესები უმეტესწილად საჯარო სახისაა. აქ უნდა აღვნიშნოთ, ადვოკატის მოვალეობა დაიცვას მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია, თუმცა აღნიშნული ინფორმაცია ხშირ შემთხვევაში საჯარო ხდება საქვეყნოობის პრინციპიდან გამომდინარე[62]
- მედიატორი ორივე მხარისთვის მუშაობას, რადგან იგი ცდილობს დავა ურთიერთშეთანხმებით გადაწყივტონ ყოველი მათი ინტერესის გათვალისწინებით. სასამართლოში მხარეების წარმომდგენდელები იბრძვიან თავიანთი მხარის გამარჯვებისთვის[63]
- მედიაცია დროში მომგებიანი პროცესია, მაშინ როცა სასამართლო პროცესები ხშირად წლების განმავლობაში მიმდინარეობს

[62] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 9
[63] იხ.https://www.bramptonfamilylawyers.ca/mediation-vs-litigation-in-brampton/

- მედიაცია სასამართლოსგან განსხვავებით, არაფორმლაური პროცესია. სასამართლო მკაცრად იბოჭება კანონით დადგენილი ნორმებით და მას მოქმედების სრულ თავისუფლებას არ აძლევს
- მედიაცია მხარის ინტერესებზე დაფუძვნებული პროცესია, სასამართლო კი მხარეების მოთხოვნებზე და უფლებებზეა ორიენტირებული

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში მედიაციის ინსტიტუტის გამოყენების მზარდი ტენდენცია შეინიშნება და ნაშრომიც სასამართლოსთან და არბიტრაჟთან შედარებით, მედიაციის პრიორიტეტებზეა ორიენტირებული, საქართველოში დავის მხარეები მაინც უპირატესობას სასამართლოს ანიჭებენ. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? პირველი, ვფიქრობ, სასამართლო გზით დავის გადაწყვეტის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი კონფლიქტების მოგვარების ყველაზე ძველი ინსტიტუტია, და მეორე, მოდავე მხარეები მეტ ნდობას უცხადებენ მოსამართლეს, ვიდრე ეს მედიატორის ან არბიტრის შემთხვევაში ხდება. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება -მედიაცია ერთ-ერთი უძლიერესი ინსტრუმენტია სასამართლოში უამრავი სამქეების განმუხტვისთვის. ჩვენ უნდა შევძლოთ, მედიაციის შესაძლებლობების სწორი აღქმა და დავეხმაროთ სასამართლოებს საქმეების უწყვეტი ნაკადის შემსუბუქებაში, რომელიც ხშირ შემთხვევაში ხარისხიანი მართლმსაჯულების[64] განხორციელების ხელშემშლელი ფაქტორია. ვფიქრობ, დავის გადაწყვეტის ტრადიციული ფორმისთვის მიმართვა რიგ შემთხვევებში, აღარ წარმოადგენს ეფექტურ მექანიზმს. თუმცა დავის გადაწყვეტის რომელი საშუალება იქნება ხელსაყრელი მხარისთვის აუცილებლად უნდა განისაზღვროს სწორად, სწორი შერჩევა კი უნდა განხორციელდეს დავის ბუნებიდან გამომდინარე. მაგ: თუ მხარეებს არ სურთ პარტნიორული ურთიერთობის კოლაპსი

[64] ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი 2018. 52

და ფიქრობენ სამომავლო თანამშრომლობაზე, მედიაცია მათ შემთხვევაში არის საუკეთესო გამოსავალი. ამ დროს მედიატორი ცდილობს შეუნარჩუნოს მხარეებს ურთიერთობა და დავა გადაწყვიტონ ერთმანეთის ინტერესების გათვალისწინებით. აგრეთვე, თუ ხელშეკრულების რომელიმე არსებითი პირობის შეუსრულებლობამ, მხარეს ისეთი ზიანი მიაყენა, რომ შეთანხმება ამ საკითხზე შეუძლებელია, მაშინ დაზარალებულის მიერ სასამართლოსთვის მიმართვა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით, გარდაუვალია. სწორად ამიტომ არის მნიშვნელოვანი განვასხვავოთ და უპირატესობა იმ დავის გადაწყვეტის საშუალებას მივანიჭოთ, რომელიც იქნება მეტად მოქნილი, ეფექტური და მომგებიანი ჩვენი სამომავლო ურთიერთობებისთვის.

IV. მედიატორის პროფესიული საქმიანობის პრინციპები ეთიკური სტანდარტების ჭრილში

მედიაცია, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ინსტიტუტი, სრულყოფილი და წარმატებული პროცესის წარმართვისთვის ეფუძვნება კანონით დადგენილ პრინციპებს.[65] აღნიშნული პრინციპები 2020 წლის 1 იანვრიდან საკანონდმებლო რეგულირების სფერო გახდა, მას შემდეგ რაც, კანონი „მედიაციის შესახებ“ მოქმედი გახდა. პრინციპები უნდა მივიჩნიოთ მედიაციისთვის მახასიათებელ იმ ფუნდამენტურ წესებად, რომელიც არეგულირებს ურთიერთობას მედიატორსა და მხარეებს შორის, აგრეთვე უზრუნველყოფს მხარეებს შორის თანამშრომლობის შენარჩუნებას. იურიდიულ დოქტრინაში, პრინციპი ზოგადი მნიშვნელობით რომ განვიხილოთ, არის ძირითადი წესი ან მოძღვრება, რომელიც აუცილებლად მიესადაგება ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას. პრინციპების დაცვით წარმართული ნებისმიერი იურიდიული საქმიანობა ქვეყანაში სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღების ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტია.

მიუხედავად მედიატორის უმნიშვნელოვანესი როლისა დავის გადაწყვეტის დროს, მხარეებს შორის შეთანხების შესრულება მაინც მთლიანად მათ თვითპასუხისმგებლობაზეა[66] დამყარებული. თვითპასუხისმგებლობა კი ურთიერთდამოკიდებულებაშია მედიაციისთვის მახასიათებელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპთან, რომელსაც ნებაყოფლობითობის პრინციპი ეწოდება. აღნიშნულ პრინციპზე ვრცლად შემდგომში ვისაუბრებ.

---

[65] საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ მუხლი 3
„მედიაცია ეფუძნება მხარეთა ნებაყოფლობითობის (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა), თვითგამორკვევის, კეთილსინდისიერებისა და თანასწორობის, კონფიდენციალურობის დაცვის, მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს. მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას წარმოშობილისაკითხები,რომლებიც ამ კანონით არ არის მოწესრიგებული, აღნიშნული პრინციპების საფუძველზე უნდა გადაწყდეს“
[66] საქართველოში,დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი მედიაციის

სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები ,თბილისი 2013,12

საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ მედიაციის წარმართვის უმნიშვნელოვანეს ხუთ პრინციპს ცნობს, ესენია:

- მხარეთა ნებაყოფლობითობის პრინციპი
- თვითგამორკვევის პრინციპი
- კეთილსინდისიერების და თანასწორობის პრინციპი
- კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპი
- მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი

ქვემოთ განვიხილავ თითოეულ მათგანს.

1. მხარეთა ნებაყოფლობითობის პრინციპი

მედიაციისთვის მახასიათებელი უმნიშვნელოვანესი პრინციპი მხარეთა ნებაყოფლობითობის პრინციპია, რომელიც მედიაციის არსის ქვაკუთხედს წარმოადგენს.[67] აღნიშნული პრინციპის საფუძველზე, დავის მხარეები იღებენ გადაწყვეტილებას, საქმის განხილვა წარიმართოს მესამე პირის- მედიატორის შუამავლობით. ნებაყოფლობითობის პრინციპის საშუალებით, მედიაციის პროცესში მხარეების მოქმედების არეალი ძალიან ფართო და თავისუფალია. მათ პროცესის დასრულებამდე ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეწყვიტონ მედიაცია წერილობითი შეთანხმებით[68] ან მათივე სურვილის გათვალისწინებით, მედიატორის, როგორც დამხმარე ფუნქციის მატარებელი პირის[69] დახმარებით, დავა საბოლოოდ სამედიაციო

[67] ალექსანდრე წულაძე, სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, თბილისი 2016, 20

[68] საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ მუხლი 9

[69] ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი 2018,70

მორიგებით დაასრულონ. ნებისმიერი შეთანხმება, რომელსაც მხარეები მიაღწევენ, უნდა წარმოადგენდეს საკუთარი თავისუფალი ნების პროდუქტს.

ნებაყოფლობითობის პრინციპი ვრცელდება არა მხოლოდ დავის მხარეებზე, არამედ უშუალოდ მედიატორზეც. მედიატორის მხრიდან ამ პროცესის გამოვლინება ხდება მაშინ, როცა იგი თანხმდება მხარეების მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე დაეხმაროს მათ დავის ურთიერთშეთანხმებით გადაწყვეტაზე. მედიატორის პროცესში ჩართვა მისი თავისუფალი ნების გამოვლინების არსს[70] ეფუძვნება. გარდა ამისა, მედიატორის მიერ ნებაყოფლობითობის პრინციპის გამოვლინებად შესაძლოა მივიჩნიოთ საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ მე-9 მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტი, რომელიც ამბობს შემდეგს, მედიაცია დასრულებულად მიიჩნევა „თუ მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ მედიატორმა განაცხადა, რომ მედიაციის გაგრძელება არაგონივრული და გაუმართლებელია, – მედიატორის მიერ ამ განცხადების გაკეთების დღიდან“. ამ ნორმიდან გამომდინარე, მედიატორი პროცესის შეწყვეტის უფლებით აღჭურვილი პირია, რომელსაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედების სრული თავისუფლება გააჩნია და წყვეტს პროცესს საკუთარი სურვილით.

ნებაყოფლობითობის პრინციპის საფუძველზე, წარმატებული მედიაციის შემთხვევაში მიიღწევა ურთიერთშეთანხმებული გადაწყვეტილება თითოეული მხარის ინტერესის გათვალისწინებით. ეს ნიშნავს იმას, რომ მხარეები თავიანთი ნების გამოვლინებით წყვეტენ დავას. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნო მხარეების პასუხისმგებლობა ახალი ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას თავიანთი ნების საფუძველზე, მათსავე სურვილზეა დამოკიდებული ხელშეკრულებაში აღნიშნული არსებითი პირობების

[70] Liudmila Surma, International mediator in Ukraine, Belarus, Germany Partner of the Attorneys Association Officium (Ukraine, Slovakia) Economic University of Slovakia Principles of Mediation as the Basis of this Process , 38

შესრულებაც. მხარეების მიერ სამედიაციო მორიგება არის ნებაყოფლობით აღსრულებადი[71] ახალი ხელშეკრულება, რომლის შესრულებაც სრულიად მათ პასუხისმგებლობაზე და ნება-სურვილზეა დამყარებული. ამრიგად, უნდა აღინიშნოს, რომ სამედიაციო მორიგების შესრულების ან პროცესის შეწყვეტის შემთხვევაში, ნებაყოფლობითობის პრინციპი და მხარეების თვითპასუხისმგებლობა მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. მხარეების ნების საფუძველზე მიღებული ნებისმიერი შედეგი მათი პასუხისმგებლობის ელემენტების შემადგენელი ნაწილია.

დავის გადაწყვეტა მედიაციის საშუალებით, სწორედ ნებაყოფლობითობის პრინციპიდან გამომდინარეა მხარეებისთვის ყველაზე მიმზიდველი, ვინაიდან მათი მოქმედების ფარგლები პროცესის მსვლელობისას არბიტრაჟისგან და სასამართლოსგან განსხვავებით თითქმის შეუზღუდავია. თუმცა, აუცილებლად უნდა დავფიქრდეთ ერთ გარემოებაზე- მედიაციის პროცესმა, სადაც მედიატორს და მხარეებს მოქმედების თავისუფალი არეალი აქვთ, არ უნდა დააზარალოს ერთი მხარის ინტერესი მეტად. თავისუფლება არ უნდა იყოს რომელიმე მხარის უფლებების შეზღუდვის მიზეზი. მოქმედების თავისუფლება ორივე მოდავე მხარეს თანაბარ პირობებში აყენებს. შესაბამისად, მედიაციისთვის მიმართვის დროს, ორივე მხარეს კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, როგორც მედიაციის შინაარსი და პროცესის მსველელობის სტადიები, აგრეთვე თავიანთი უფლებები. ნებისმიერი უფლების დარღვევის შემთხვევაში, სამედიაციო პროცესი უკუჩვენებადია.

2. თვითგამორკვევის პრიციპი

[71] აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ მუხლი 13-ით, მხარეებმა სამედიაციო მორიგების აღსასრულებლად შესაძლოა მიმართონ სასამართლოს. კანონი აქაც არ ბოჭავს მხარის უფლებებს, რადგან სასამართლოსთვის მიმართვა ხორციელდება მხარის ნების საფუძველზე.

მედიაციისთვის მახასიათებელი შემდეგი ძირითადი ფუნდამენტური პრინციპი მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპია. მედიაციის პროცესი მხარეების უნარ-ჩვევებს ემყარება, იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ მათზეა დამოკიდებული ნებაყოფლობით მოლაპარაკების შედეგად, მიაღწიონ შეთანხმებას. მხარის თვითგამორკვევა არის ძირითადი ფაქტორი, რომელიც განასხვავებს სასამართლო საქმისწარმოებას მედიაციისგან და დავის გადაწყვეტის სხვა საშუალებებისგან. აღნიშნული განსხვავება ემყარება იმ საფუძველს, რომ მედიაციის პროცესში მხარეებს თვითონ აქვთ დავის მოგვარების უფლებამოსილება, რაშიც მედიატორი მხოლოდ შუამავლის როლში გვევლინება. მედიაციისთვის მახასიათებელი განსხვავება განსაკუთებული და გამორჩეულია, რადგან იგი მიმართულია მხარეების კოლაბორაციის, ურთიერთობის და თანამშრომლობის შენარჩუნებისკენ.[72] აქვე უნდა ვთქვა, რომ მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპი მედიაციის ლეგიტიმურობისა და სამართლიანი შედეგების უზრუნველყოფის პრინციპული საფუძველია.

თვითგამორკვევის პრინციპი პირდაპირ კავშირშია მხარეების სამართლებრივ, სოციალურ თუ პოლიტიკურ ღირებულებებთან, რომელშიც ერთიანდება პატივისცემის, ავტონომიის, კონფიდენციალურობის და ღირსების დაცვის, ემოციური გამოხატულების, ინტერპერსონალური დიალოგის საკითხი. სწორედ რომ ეს ფასეულობები ქმნის მოლაპარაკებებში კრეატიული ვარიანტების შემუშავების და გადაწყვეტილების მიღების საფუძველს. თვითგამორკვევის პრინციპი პირველ ეტაპზე ვლინდება მაშინ, როდესაც მხარეები გაიაზრებენ და გააცნობიერებენ დავის წარმოშობის საფუძვლებს, რა დროსაც კონფლიქტის რეგულირებისთვის მიმართავენ მედიაციას. დავის ფაქტების გაანალიზება არის პირველი საფეხური თვითგამორკვევის პრინციპის გამოვლინების. მედიაციისთვის მიმართვა

[72] იხ. https://adrresearch.net/2017/12/19/the-central-role-of-party-self-determination-in-mediation-ethics/

უთანხმოებისა და ჩიხური სიტუაციის განმუხტვის[73] საჭიროებას წარმოადგენს მას შემდეგ, რაც მხარეები კონფლქტის წარმოშობის შინაარს გააცნობიერებენ.

მედიაცია თვითგამორკვევის პრინციპის დახმარებით, მხარეებს ძალაუფლების დაბალანსებაში ეხმარება. მისი მეშვეობით ხდება ძალაუფლების შესაძლო დისბალანსის პრევენცია და ხშირ შემთხვევაში მიიღწევა სამართლიანი და ეფექტური ურთიერთშეთანხმებული სამედიაციო მორიგება. მედიატორი ვალდებულია დავის ერთ მხარეს ხელი შეუშალოს მეორე მხარის დომინირებულ პოზიციას, რადგან მოლაპარაკება აუცილებლად თანაბარ პირობებში უნდა მიმდინარეობდეს. ამრიგად, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ თვითგამორკვევის პრინციპის შემადგენელი ელემენტებია ერთის მხრივ, მედიატორის პასუხისმგებლობა და მეორეს მხრივ, მხარეების ურთიერთგაგება.

მედიატორის პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრა თვითგამორკვევის პრინციპთან მიმართებაში მნიშვნელოვანია, რადგან მედიატორის დამატებითი ვალდებულებაა, ძალაუფლების დისბალანსის შემთხვევაში, უზრუნველყოს მხარეებს შორის თანაბარი პირობებითა და უფლებებით სარგებლობა. რაც შეეხება, მხარეების ურთიერთგაგებას, ზემოხსენებული პრინციპის განმსაზღვრელი ფაქტორია, ვინაიდან მხარეების ურთიერთგაგების გარეშე, შეუძლებელია კონფლიქტის რეგულირება და სამომავლო, მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბება, დაბალანსება და შენარჩუნება.

3. კეთილსინდისიერების და თანასწორობის პრინციპი

[73] ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი 2018,72

მედიაციის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი ადაპტირებულია მხარეთა საჭიროებებთან და ინტერესებთან, რისი მეშვეობითაც მხარეები მეტად დამაკმაყოფილებელ, მტკიცე, გამძლე და ეფექტურ გადაწყვეტილებას იღებენ. კეთილსინდისიერების პრინციპი ნებისმიერი ხელშეკრულების არსებითი პირობების შესრულების ვალდებულების მთავარ ღერძს წარმოადგენს. ნებაყოფლობითობასთან და თვითგამორკვევის პრინციპებთან ერთად, მედიაციაში კეთილსინდისიერების პრინციპიც აქტიურად გამოიყენება. კეთილსინდიერება სამედიაციო პროცესში ეფუძვნება პატივისცემას, ნდობას, ღირსებას, პასუხისმგებლობას და სამართლიანობას, სადაც მხარეები ცდილობენ კეთილი რწმენით, გულწრფელი განზრახვითა და კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით მიიღონ კონფლიქტის რეგულირებისთვის საჭირო ეფექტური გადაწყვეტილება.

რაც შეეხება თანასწორობის პრინციპს, მედიაციაში პროცესის მონაწილე ორივე მოდავე მხარე სარგებლობს თანაბარი უფლებებით და პირობებით. პროცესში ჩართული მხარეები ვალდებულნი არიან საკუთარი ნებით ინიცირებულ მედიაციაში[74] კეთილსინდისიერების პრინციპის მეშვეობით, მიიღონ თავიანთი ნების საფუძველზე დავის მოგვარებისთვის დამოუკიდებელი გადაწყვეტილება. მედიაციაში მხარეები და მედიატორი აბსოლუტური თანასწორობით სარგებლობენ, შესაბამისად, არც ერთ მხარეს არ ენიჭება, როგორც ზნეობრივი, ისე პროცედურული უპირატესობა. თითოეულ მხარეს აქვს თანაბარი უფლება პროცესის მსვლელობისას გამოხატოს თავისი აზრი და მოლაპარაკებების დღის წესრიგის დასაგენად

[74] ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი 2018,79

წარუდგინონ წინადადებები ერთმანეთს.[75] მხარეების თანასწორუფლებიანობა და დამოუკიდებლობა შეთანხმების შინაარსის სრულ თავისუფლებას იძლევა.

სამედიაციო პროცესში მხარეების პრიორიტეტი სამომავლო ურთიერთობებში თანამშრომლობის შენარჩუნებაა, სწორედ ამიტომაა , რომ მათ დავის მოგვარების ერთობლივი სურვილი ამოძრავებთ. კეთილსინდისიერ დავის მხარეებს გაცნობიერებული აქვთ, რომ დავის შინაარსის განსაზღვრა, ფაქტების დადგენა და ერთობილი გადაწყვეტილების მიღება საერთო ინტერესებს ემსახურება. შესაბამისად, ვფიქრობ რომ მედიაციის წარმატებული პროცესის დამახასიათებელი აუცილებელი კომპონენტი გულწრფელობაა, რომელიც კეთილსინდისიერების და თანასწორობის პრინციპებთან კოლაბორაციაში მოდის.

4. კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპი

კონსილიაციის პროცედურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისება კონფიდენციალურობაა, რომელიც მედიაციის ინსტიტუტის გამოყენების უპირატესობასთან და პროცესის მართვის ეფექტურობასთან პირდაპირპროპორციულ კავშირშია. საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ მე-10 მუხლი[76] მედიატორისა და მხარეების ძირითადი ვალდებულების შესრულებად კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობას განამტკიცებს. კონფიდენციალურობის პრინციპი

[75] Liudmila Surma, International mediator in Ukraine, Belarus, Germany Partner of the Attorneys Association Officium (Ukraine, Slovakia) Economic University of Slovakia Principles of Mediation as the Basis of this Process , 40

[76] „.. *მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია. ასევე კონფიდენციალურია ინფორმაცია, რომელიც ცნობილი გახდა მედიაციის პროცესის მიმდინარეობისას ან არსებითად გამომდინარეობს მედიაციის პროცესიდან, თუ ამ ინფორმაციის გამცემ პირსადამხარეს/მხარეთა შორისწერილობითიშეთანხმებით ან კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, აგრეთვეთუინფორმაციისგამჟღავნება მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების მომენტის განსაზღვრისათვის აუცილებელი არ არის*“

მედიატორის და მხარეების ურთიერთნდობის ჩამოყალიბებაში[77] მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ისინი დავის განხილვის პროცესის დროს გულწრფელად საუბრობენ წარმოქმნილი კონფლიქტის არსზე და ინფორმაციის გაცვლით განხილავენ პრობლემის გადაჭრის შესაძლო ვარიანტებს . შეუძლებელია ინფორმაციის გამხელის გარეშე, ორივე მხარისთვის დამაკმაყოფილებელი და სამართლიანი შედეგი მივიღოთ, მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლა დავის რეგულირებისთვის აუცილებელი წინაპირობაა. ინფორმაციის გაცვლა კი კონფიდენციალურობის პრინციპით არის განმტკიცებული.

 დავის მხარეების მიერ მედიატორისთვის გამხელილი ინფორმაცია, მათივე მოთხოვნით რჩება კონფიდენციალური და დაუშვებელია ამ ინფორმაციის გამჟღავნება სხვა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების დროს. ამავე კანონის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილით - „ ამ მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია მედიაციის მონაწილეებმა არ შეიძლება გამოიყენონ სასამართლო ან საარბიტრაჟო განხილვის დროს ან დავის ნებისმიერი სხვა საშუალებით განხილვის პროცესში, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული“. შესაბამისად, საქართველოში კონფიდენციალური ინფორმაციის გამხელის დაუშვებლობა კანონით დადგენილია და მისი შესრულება დავის პროცესში მონაწილე ნებისმიერი პირისთვის სავალდებულოა. მედიაციის პროცესში გამოყენებული ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია არ ექვემდებარება გაჟღავნებას. უნდა აღვნიშნო, რომ კონფიდენცილური ინფორმაცია შეიძლება იყოს როგორც წერილობითი დოკუმენტის სახით, ისე ზეპირი. კონფიდენციალური ინფორმაციის გამხელის უფლება მხოლოდ მხარის აშკარა

[77]ალექსანდრე წულაძე, სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, თბილისი 2016,18

თანხმობის[78] შემდეგ არის შესაძლებელი, სხვა დანარჩენ შემთხვევაში, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაუშვებელია.

მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსი[79] როგორც მედიაციისთვის მახასიათებელ პრინციპებს გამსაზღვრავს, ასევე მოიცავს მედიატორის პასუხისმგებლობის და ვალდებულებების მთელ რიგ საკითხებს. უშუალოდ კონფიდენციალურობის პრინციპთან დაკავშირებით, ამავე კოდექსის მეოთხე ნაწილი შემდეგნაირ განმარტებას იძლევა - „მედიატორმა უნდა შეინარჩუნოს და შეინახოს მხარის მიერ ნებისმიერი კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მედიაციის პროცესში იქნება გამხელილი, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მხარის მიერ მედიატორისთვის ინფორმაციის გამჟღავნებით, ავტომატურად მის მიერ ნდობის გამოცხადება ხდება, შესაბამისად ნებართვის გარეშე ინფორმაციის გამხელა დაუშვებელია“. კონფიდენციალურობის პრინციპი მედიატორის ეთიკური პასუხისმგებლობის შემადგენელი ნაწილია. მედიატორი არა მხოლოდ პროცესის ხელშემწყობი პირია, არამედ ის იღებს პრივილეგირებულ, კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის მოვალეობა შემდგომში ურთიერთშეთანხმებული გარიგების დადებით შემოიფარგლება[80]. ნებისმიერი შედეგით დასრულებული კონფლიქტი კონფიდენციალურობის პრინციპის მოთხოვნებით უნდა იყოს რეგულირებული.

კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების ორი ასპექტი უნდა განვიხილოთ. პირველი, მედიატორებმა უნდა დაიცვან როგორც მხარის მიერ გამჟღავნებული ინფორმაცია მეორე მხარის მიმართ, აგრეთვე მესამე პირების მიმართ, ანუ მედიაციის გარე მყოფები პირებისგანაც. და მეორე, როდესაც მედიატორი დავაში მონაწილე

[78] საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ მუხლი 10, მე-3 ნაწილი
[79] EUROPEAN CODE OF CONDUCT FOR MEDIATORS
[80] Louise Otis* and Catherine Rousseau-Saine, THE MEDIATOR AND ETHICAL DILEMMAS: A PROPOSED FRAMEWORK FOR REFLECTION, , 52

რომელიმე მხარეს ცალკე ხვდება, მხარის თანხმობის გარეშე სხდომაზე ინფორმაციის გამჟღავნება დაუშვებელია.[81] შედეგად, მედიატორის მიმართ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ორმხრივი ვალდებულება ვრცელდება.

თუმცა, კონფიდენციალურობის დაცვა აბსოლუტური უფლებით[82] არ შემოიფარგლება, ვინაიდან თუ დავა სასამართლო საქმისწარმოებამდე მივა, სამართლიანი და მაღალი სოციალური მგრძნობელობის მქონე მართლმსაჯულების სისტემის დახმარებით, ინფორმაციის გამხელა კანონიერი გადაწყვეტილების მიღების საფუძველი უნდა გახდეს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ კრძალავს ინფორმაციის გამჟღავნებას საქმის სასამართლოსთვის ან არბიტრაჟისთვის გადაცემის შემთხვევაში, მაინც არსებობს კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ლიმიტი. ანუ, თუ ინფორმაცია საჯარო ინტერესს მოიცავს, ან ჩადენილია სისხლისსამართლებრივი დანაშაული, მაგ: მუქარა, ძალადობა, მკვლელობა და სხვა, აღნიშნული ინფორმაციის გაუმჟღავნებლობამ შესაძლოა მედიატორის პასუხისმგებლობის საკითხიც კი დააყენოს. ამრიგად, კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულებასა და საჯარო ინტერესს შორის გადის ინფორმაციის გასაჯაროების ზღვარი.

გარდა მედიატორისთვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაძლო დაკისრებისა, სამოქალაქო სამართლებრივ დავებში, სსსკ-ს 141-ე[83] მუხლი კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით, კრძალავს მედიაციის პროცესში მონაწილეების მოწმედ დაკითხვას. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც მედიაციის პროცესში გამხელილ იქნა მხარეების მიერ ან უშუალოდ არსებითად

[81] David A. Hoffman Ten Principles of Mediation Ethics, 2

[82] ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი 2018, 77

[83] მუხლი 141. პირები, რომლებიც არ შეიძლება დაკითხულ იქნენ მოწმედ

მედიაციის პროცესს უკავშირდება და გამომდინარეობს მისგან, უნდა დარჩეს კონფიდენციალური. მოსამართლეს კანონით გათვალისწინებული ნორმის ფარგლებში არ შეუძლია მედიაციის პროცესის მონაწილე პირებს მოსთხოვოს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება და შესაბამისად, მედიაციის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპის დარღვევა. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ინფორმაციის გამხელის კანონიერი ინტერესი არსებობდეს, ნორმიდან გამომდინარე კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება მედიაციაში მონაწილე პირებს შორის კვლავ ძალაში რჩება, რადგან სამოქალაქო საქმისწარმოების დროს ისინი პროცესზე მოწმის სტატუსით არასდროს არ სარგებლობენ.

რაც შეეხება სსსკ-ს 104 მუხლს, რომელიც მტკიცებულებათა მიუღებლობის საკითხს მოიცავს, განსაზღვრულია შემდეგი დებულებები - „სასამართლო მტკიცებულებად არ მიიღებს სასამართლო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით გამჟღავნებულ ინფორმაციასა და დოკუმენტს, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი“ და „ამ მუხლის 1^1 ნაწილით გათვალისწინებული წესი არ გამოიყენება, თუ სასამართლო მედიაციის პროცესში კონფიდენციალურობის პირობით გამჟღავნებულ ინფორმაციასა და დოკუმენტს სასამართლოში წარადგენს ის მხარე, რომელმაც გაამჟღავნა იგი, ან თუ ეს ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მეორე მხარეს ჰქონდა ან კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით მიიღო და წარადგინა სასამართლოში“[84]. აღნიშნული ნორმის 1^1 ნაწილით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სასამართლო მედიაციის პროცესში გამხელილი ინფორმაცია სასამართლოში მტკიცებულების დასაშვებობის ზღვარს ვერ ლახავს, ვინაიდან არ არსებობს სასამართლო პროცესზე კონფიდენციალური ინფორმაციის გაჟღავნების კანონიერი საფუძველი. თუმცა ამავე წინადადების მეორე ნაწილში, ნორმა

[84] სსსკ-ს 104-ე მუხლის 1^1 და 1^2 ნაწილი

კონფიდენციალურობის პირობით გამჟღავნებული ინფორმაციის სასამართლო პროცესზე მტკიცებულებად მიღების დაშვებას განიხილავს, მხოლოდ მხარეთა აშკარა თანხმობის შემდეგ. ამრიგად, ინფორმაციის გამჟღავნება და შემდგომ სასამართლოში საქმისწარმოების დროს მტკიცებულებად გამოყენება მხოლოდ მხარეების ნებაზე და ურთიერთშეთანხმებაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება ამავე მუხლის 1^2 ნაწილს, ზემოაღნიშნული პირობები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას ის მხარე უზრუნველყოფს, რომელსაც ეკუთვნის იგი. ამავე წინადადების მეორე ნაწილში, 1^1 ნაწილით გათვალისწინებული პირობების გამოყენება შეუძლებელია, თუ კონფიდენციალურობის პირობით გამჟღავნებული ინფორმაცია სასამართლო მედიაციის პროცესში წარადგინა კანონის დაცვით. შესაბამისად, აუცილებელი პირობაა, რომ ინფორმაციის მოპოვება კანონით დაცული საშუალებებით ხორციელდებოდეს, რის შემდეგ მხარე უზრუნველყოფს დოკუმენტის წარდგენას სასამართლო მედიაციის პროცესზე.

და ბოლოს, მედიაციის პროცესის დროს, წონასწორობის შენარჩუნება სწორედ, რომ ზემოაღნიშნული პრინციპების დაცვით მიმდინაროებს. კონფიდენციალურობის პრინციპთან მიმართებით, მედიატორის უნარი ვლინდება მაშინ, როდესაც ის მობილიზაციას უწევს ეფექტური მოლაპარაკების წარმართვას, უზრუნველყოფს მხარეების თანაბარი უფლებებით აღჭურვას, იჩენს ზედმეტ წინდახედულობას და ყურადღებას ამახვილებს სადავო საკითხებზე, რაც საბოლოო ჯამში, დავაში მონაწილე პირების ნდობის დარღვევის ფაქტების აცილების საფუძველი ხდება.

5. მედიატორის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპი

მედიაციაში ნეიტრალიტეტის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპები უშუალოდ მედიატორს ეხება, სადაც ძირითადად მისი ეთიკური პასუხისსმეგლობა ვლინდება. მედიატორი არის ინდივიდი და ნდობით აღჭურვილი პირი, რომელიც კანონის მოთხოვნების დაცვით, მონაწილეობს მედიაციის პროცესში დავის ურთიერთშთანხმებული გადაწყვეტილების მიღების მცდელობით. მედიატორის დამოუკიდებლობა გამოიხატება მის ურთიერთობაში მხარეების მიმართ, ანუ, იგი არის დამოუკიდებელი მხარეებისგან , ისევე როგორც მესამე პირებისგან. მედიატორი მოსამართლის ან არბიტრის ფუნქციას არ ასრულებს, რომლის ძირითადი ამოცანაა დიალოგის ორგანიზება კონფლიქტურ მხარეებს შორის.მხარეების საერთო ამოცანა კონფქლიტის მოგვარებისთვის არის ურთიერთსასარგებლო გზების ძიება.[85] მედიატორი დიპლომატიურად ხელმძღვანელობს მოლაპარაკებების ერთობლივ ინტერესებს და ურთიერთსასარგებლო ვარიანტებს[86], სადაც დაუშვებელია ნებისმიერი სახის ზეწოლა მხარეებზე მიიღონ გადაწყვეტილება მაქსიმალურად მოკლე დროში. მას არ აქვს გადაწყვეტილების მიღების შესაძლო ვარიანტების შეთავაზების უფლება, იგი მხოლოდ მოლაპარაკების პროცესს უწევს კოორდინციას.

მედიატორის ნეიტრალურობა დამოუკუდებლობასა და მიუკერძოებლობის პრინციპებთან ერთად ხშირად განიხილება, თუმცა მათ შორის არის არსებითი განსხვავება, კერძოდ: თუ მედიატორის ნეიტრალურობა და დამოუკიდებლობა ობიექტური შეფასების კრიტერიუმია, მიუკერძოებლობა სუბიექტური აღქმის

[85] Liudmila Surma, International mediator in Ukraine, Belarus, Germany Partner of the Attorneys Association Officium (Ukraine, Slovakia) Economic University of Slovakia Principles of Mediation as the Basis of this Process , 39
[86] EU mediation Law and Practice, edited by Giuseppe De Palo and Mary B. Travor, Oxford, 41

საგანია.[87]

თუმცაღა, ნეიტრალურობის პრინიციპი მიუკერძოებლობის ცნებაზე ახდენს გავლენას, იმ კონტექსტში, რომ მედიატორმა მედიაციის პროცესის დროს დავის გადაწყვეტის მიზნით თავის საკუთარი იდეოლოგები, მოსაზრებები და შეხედულებები არ უნდა გამოამჟღავნოს.მედიაციაში, მედიატორის მიერ ნებისმიერი სახის მიკერძოება აკრძალულია და იგი ნეიტრალურია ორივე მოდავე მხარისთვის. მედიატორის ნეიტრალურობის პრინციპის დაცვა უმთავრესი ღირებულებაა, მას არ შეუძლია რომელიმე მხარისგან მიიღოს რაიმე სახის საეჭვო სარგებელი ან საჩუქარი, მხარისთვის პრივილეგიის მინიჭების მიზნით. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს დანაშაულს და არის დაუშვებელი. ნეიტრალურობის პრინციპიდან გამომდინარე, მედიატორისთვის აკრძალულია მიმდინარე დავასთან მიმართებით მხარისთვის ნებისმიერი რჩევის ან მითითების მიცემა.

ახლა კი, უშუალოდ მიუკერძოებლობის პრინციპს მინდა შევეხო. მედიატორის მიუკერძოებლობის კონცეფცია უმთავრესია მედიაციის პროცესში[88] და იგი ფუნდამენტური მნიშვნელობითაც უნდა განვიხილოთ. მედიატორის მიუკერძოებლობა არის მხარეების მნიშვნელოვანი გარანტი სამართლიანი, ობიექტური, კონსტრუქციული, მოქნილი, ეფექტური გადაწყვტილების მიღების. მედიატორის ქცევის ევროპულ კოდექსში განმარტებულია, რომ მედიატორი ვალდებულია თავისი საქმიანობა წარმართოს მიუკერძოებლად და თანაბარ პირობებში[89]. მიუკერძოებლობის მნიშვნელობის სრულყოფილი გაგება მედიაციის ეთიკური პრაქტიკის მნიშვნელოვანი გასაღებია.მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა მედიატორის პროფესიონალური ვალდებულებაა, რომლის საშუალებით ისინი

[87] ირაკლი ყანდაშვილი, საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი 2018,81

[88] The institute of arbitrators & mediators, Australia, Principles of condact for Mediators, 2

[89] EUROPEAN CODE OF CONDUCT FOR MEDIATORS,2

წარმართავენ სამართლიან პროცესს და მხარეებს თვითგამორკვევის უფლებას აძლევენ[90]. მიუკერძოებლობის პრინციპის დაცვა ეთიკური მოვალეობის შესრულების ნაწილია, რადგან სწორედ, მედიატორის ქცევა და ეთიკა განსაზღვრავს პროცესის ეფექტურად წარმართვას. თუ მედიატორი იგრძნობს, რომ პროცესი მედიაციისთვის მახასიათებელი პრინციპების დარღვევით მიმდინარეობს, მან ობიექტური მიზეზით, უნდა შეწყვიტოს დავის განხილვა.

6. ინტერესთა კონფლიქტი

21-ე საუკუნეში მედიაციის ინსტიტუტის განვითარება უდიდესი გამოწვევა აღმოჩნდა დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებისთვის. ზოგადად მედიაცია პრინციპებთან ერთად მოიცავს მედიაციისთვის დამახასიათებელ ეთიკას, მედიატორის ეთიკურ პასუხისმგებლობას პროცესთან მიმართებით და ეთიკის პროფესიონალურ კოდექსებს. მედიატორის პროფესიული ეთიკის კოდექსში ეთიკის მარეგულირებელ პრინციპეთან ერთად, აუცილებლად უნდა იყოს განსაზღვრული მედიატორის ეთიკური პასუხისმგებლობა, ვალდებულებები და მოვალეობები მედიაციის პროცესის ხელმძღვანელობის ჭრილში. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე საქართველოში არ არის მიღებული მედიატორის პროფესიული ქცევის კოდექსი, ამიტომ, წინამდებარე ქვეთავებში განვიხილავ მედიატორის ეთიკური ქცევის პროფესიულ სტანდარტებს.

მედიაციის პროცესის დაწყებამდე, მედიატორი ვალდებულია გამოამჟღანოს ყველა ის ფაქტობრივი და პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი, რომელიც მისთვის გახდა ცნობილი: 1. მედიატორმა უნდა განიხილოს ნებისმიერი გარემოება, რომელმაც

[90] იხ. https://www.cambridge.org/core/books/theory-of-mediators-ethics/mediator-impartiality/8B946837599740E8D2EB77A8D001FC62

შესაძლოა გავლენა იქონიოს მედიატორის დამოუკიდებლობაზე და მიუკერძოებლობაზე 2. მედიატორი ყოველთვის უნდა იყოს გამჭვირვალე მხარეებისთვის სამედიაციო პროცესის მსვლელობისას 3. მედიატორმა მხარეებს უნდა გააცნოს ყველა ის გარემოება, რომელსაც აქვს ტენდეცია, რომ პროცესის მიმდინარეობის დროს, შესაძლოა ის ინტერესთა კონფლიქტის გამოწვევის მიზეზი გახდეს 4. მედიატორმა ერთ-ერთ მხარესთან არ უნდა ჩამოაყალიბოს პროფესიული ურთიერთობა ამ დავასთან მიმართებით[91]

მედიატორის ვალდებულებაა არ დათანხმდეს მხარეებს პროცესში მონაწილეობის მიღებაზე და უარი უთხრას მათ, თუ ამ დავასთან მიმართებით აკავშირებს უშუალოდ პირადი, პროფესიონალური ან ფინანსური ინტერესი. მედიატორს არ უნდა ჰქონდეს პირადი ინტერესი მედიაციის დაწყების მიზეზთან და დავის დასრულების შედეგთან.[92] ინტერესთა კონფლიქტის გაუმჟღავნებლობის შედეგები არ იქნება ეფექტური მედიაციის წარმართვის საფუძველი. თუ მედიატორი პროცესის დაწყებამდე გაამხელს მის პირად დამოკიდებულებას ამ დავასთან დაკავშირებით, მხარეებს ეძლევათ საშუალება სხვა მედიატორის ჩანაცვლების. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, მედიატორმა პოტენციურად უნდა შეწყვიტოს დავის განხილვაში მონაწილეობის მიღება.

7. მედიატორის კომპეტენციის საზღვრები

მედიაცია პრობლემების გადაჭრისა და დავების მოგვარების უნიკალური შესაძლებლობაა, რომლის საშუალებითაც მხარეები საბოლოოდ იღებენ უკეთეს

[91] Ethical guidelines for mediators, November 2011, 3
[92] Louise Otis and Catherine Rousseau-Saine,THE MEDIATOR AND ETHICAL DILEMMAS: A PROPOSED FRAMEWORK FOR REFLECTION, 11

შედეგს.მედიატორის მეშვეობით მხარეები დავას ისეთი გდაწყვტილებით ასრულებენ, რომელიც შესაძლოა მიუწვდომელი იყოს როგორც სასამართლო, ისე საარბიტრჟო საქმისწარმოების დროს. თუმცა ამ საქმიანობის ეფექტურობას, აუცილებლად სჭირდება მედიატორის განსხვავებული ცოდნა, სპეციალური უნარ-ჩვევები და ემოციური ინტელექტი.[93] ემოციური ინტელექტი მოიცავს როგორც საკუთარი თავის კონტროლს დავის პროცესში, ასევე სოციალურ უნარებს, ესენია: თავდაჯერებულობა, თვითშეფასება, ცნობიერების ამაღლება, ადაპტაცია ახალ გარემოში, ვალდებულებების სწორად განსაზღვრა, მომსახურებაზე ორიენტირება, გავლენის მოხდენა სხვა პირებზე, კონფლიქტური სიტუაციის მენეჯმენტი, კოლაბორაცია და თანამშრომლობა, საკითხების სწორად შეფასება და ათვისების უნარი, აგრეთვე მხარეებთან სწორი კომუნიკაციის დამყარება.[94]

მედიატორი ვალდებულია იცოდეს თავისი შესაძლებლობების გამოყენების ფარგლები და კომპეტენციის საზღვრები. მან პროცესი უნდა წარმართოს ზნეობრივი და პროფესიული პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, პატივი სცეს თავის საქმიანობას და შეინარჩუნოს პროფესიული ღირსება, რომელიც მედიაციის პროცესისთვის აუცილებელი ნაწილია. მედიატორმა პროცესში უნდა გამოამჟღავნოს ის განსაკუთრებული უნარები, რომელიც დავის გადაწყვეტას შეუწყობს ხელს. მედიატორი ვალდებულია პროცესს გაუძღვეს მედიაციისთვის მახასიათებელი პრინციპების დაცვით, რომელიც აგრეთვე პროფესიული როლის საზღვრების დაცვასაც განაპირობებს.

---

[93] იხ.https://www.skillsyouneed.com/ips/mediation-skills.html
ემოციური ინტელექტის ცნება პირველად 1990-იან წლებში იქნება მოხსენიებული, Daniel Goleman-ის მიერ. ემოციური უნარი არის საკუთარი თავის შესაძლებლობა, გაიგო , გამოიყენო და მართო შენი ემოციებიპოზიტიური გზით, რათა გათავისუფლდე სტრესისგან, გადალახო ნებისმიერი ცხოვრებისეული გამოწვევები და ხალხთან დაამყარო ეფექტური კომუნიკაცია ურთიერთობის შენარჩუნების და განვითარებისთვის. ემოციური ინტელექტი ადამიანის ფსიქიკის შემადგენელი ნაწილია, რომლის განვითარება შესაძლებელია სწავლის და პირადი უნარების გაუმჯობესების გზით.
[94] იხ.https://www.skillsyouneed.com/general/emotional-intelligence.html

გარდა მედიატორის სპეციალური უნარ-ჩვევების და ცოდნის საჭიროებისა, მედიატორს უცილებლად უნდა შეეძლოს მხარეების პრობლემის მოსმენა და სადავო საკითხების სწორი მიგნება. მედიატორმა სამედიაციო პროცესის დაწყებამდე უნდა გააანალიზოს თავისი ქცევისა და მოქმედების არეალი, კანონით დადგენილ ნორმის ფარგლებში და წესების დაცვით წარმართოს სამედიაციო პროცესი.

8. მედიატორის როლი და ეთიკური პასუხისმგებლობა

მედიაცია ნებაყოფლობითი, არასავალდებულო პროცესია, სადაც მესამე ნეიტრალური მხარის - მედიატორის დახმარებით დავა ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილებით სრულდება. მედიატორი დავის მხარეებს კომუნიკაციის გზით, ურთიერთგაგეის ხელშეწყობით, საკითხებისა და ინტერესების შეთანხმების საფუძვლების იდენტიფიცირებაში. მედიატორის მთავარი როლი კონფლიქტის მხარეებს შორის კომუნიკაციის გაადვილებაა, რათა დაეხმაროს მათ დავის ნებაყოფლობით მოგვარებაში, რომელიც დროული, სამართლიანი და ეფექტურია. იგი მართავს სხდომას და პასუხისმგებელია საქმის წარმოებაზე. ამისთვის კი აუცილებელია, მას ჰქონდეს ჰქონდეს საკმარისი და საბაზისო ცოდნა დავის არსებითი საკითხებისა და პრობლემების შესახებ, რათა მან შეძლოს ეფექტურად მართოს პროცესი. სწორედ, რომ მედიატორის პასუხისმგებლობაა, რომ დავის განხილისთვის შესაფერისად მოემზადოს, გაეცნოს სადავო საკითხებს, გააცნობიეროს და გაანალიზოს დავის მოგვარების შესაძლო ვარიანტები. თუმცა, მედიატორი წარმომადგენლებისგან და ადვოკატებისგან განსხვავებით, იურიდიული კონსულტაციის მიცემაში შეზღუდულია, ამიტომ მხარეების მიერ მისი პოზიციისს და როლის აღქმა აუცილებელია. მხარეებს არ უნდა გააჩნდეთ მოლოდინი, რომ მედიატორი მათ იურიდიულ დახმარებას გაუწევს, იგი არცერთი მხარის

წარმომადგენელი არ არის სამედიაციო პროცესში. მედიატორი ისმენს მხარეებს შორის გამოწვეულ კონფლიქტის მიზეზებს, ზუსტად განსაზღვრავს სადავო საკითხებს და ეხმარება მათ მიიღონ ისეთი ახალი შეთანხმება, რომელიც ორივე მხარის ინტერესებზე იქნება მორგებული. მისი ძირითადი საქმიანობა დავის მოგვარებისთვის საჭირო სხვადასხვა ვარიანტების განხილვა და მათგან ყველაზე ოპტიმალურის ამორჩევაა.

მედიატორი პროცესში იყენებს უამრავ სხვადასხვა ინტერნეროსალურ უნარს, ტექნიკას და პიროვნულ მახასიათებლებს, რათა მხარეებს შეთანხმების მიღწევაში დაეხმაროს. წარმატებული მედიაციის პროცესისთვის მედიატორი შემდეგ უნარებს იყენებს:

- ემპათია/თანაგრძნობა- მედიატორი ადაპტირებულია დავაში მონაწილე მხარეების შინაგან პიროვნებებთან, თუმცა მიუხედავად ამისა, იგი ყოველთვის ნეიტრალურ პოზიციას ინარჩუნებს
- მოთმინება და ტაქტი - მედიატორმა ეთიკური პასუხისმგებლობის ფარგლებში მოთმინებით უნდა ისმინოს მხარეების პრობლემები
- წინდახედულობა და ყურადღების კონცენტრაცია- მედიატორს უნდა გააჩნდეს უნარი კონცენტრირება მოახდინოს მოწოდებულ ინფორმაციაზე და შეაფასოს მისი როგორც სისწორე, აგრეთვე მნიშვნელობა[95].

და ბოლოს, სანამ უშუალოდ ეთიკურ სტანდარტებს შევეხები, მინდა მოკლედ დავახასიათო მედიატორის როლი მედიაციის პროცესში:

- ეხმარება მხარეებს სადავო საკითხების ამოცნობაში
- მხარეთა კომუნიკაციის ხელშეწყობა

[95] იხ.http://expert-evidence.com/ethical-standards-for-mediators/

- ფოკუსირება მათ ძირითად ინტერესებზე
- დავის დასრულებისთვის მაქსიმალურად მრავალფეროვანი ვარიანტების მოძიება
- ეხმარება მხარეებს ნებაყოფლობითი შეთანხმების მიღწევაში
- უზრუნველყოფს მხარეებს შორის კეთილსინდისიერების საფუძველზე, სამომავლო ურთიერთობების ხელშეწყობას და შენარჩუნებას

მედიაციისთვის მახასიათებელი ეთიკური საკითხები ჩვეულებრივ მედიატორის კონფიდნციალურობასთან, ნეიტრალურობასთან, დამოუკიდებლობასთან და მიუკერძოებლობასთან ასოცირდება. თუმცა ქცევის წესი ზოგადად უფრო ფართო სპექტრს მოიცავს. ეთიკის ნორმებით დაცული პროცესის დროს, მედიატორი განსაზღვრავს ქცევის სწორ და არასწორ მოქმედებებს. რეალურად, ეს მარტივი ამოცანა არ არის, რადგან მედიატორის ნებისმიერი ქცევა და მისი მხრიდან გადადგმული ყოველი ნაბიჯი უნდა იყოს გათვლილი და წინდახედული.

საქართველოში მედიატორის პროფესიული ეთიკის კოდექსის შემუშავება აუცილებელია, რადგან მედიატორის ქცევის წესების და ეთიკის ნორმების კანონით რეგულირება მნიშვნელოვანია მედიაციის ინსტიტუტის განვითარებისთვის. კოდექსის დახმარებით, მედიატორი ინარჩუნებს პროფესიულ ღირსებას, პატივს სცემს თავის საქმიანობას. ვფიქრობ, მედიატორის პროფესიული საქმიანობის კოდექსი აუცილებლად უნდა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:

- კოდექსმა უნდა უზრუნველყოს ის სტანდარტები, რომელიც მედიატორს უხელმძღვანელებს მის მიერ შესასრულებელ ძირითად მოვალეობებს და ფუნქციებს
- ხელს შეუწყობს მედიაციის ეფექტურ მართვას

- კოდექსმა უნდა იზრუნოს აგრეთვე, მხარეებისა და მედიატორის ნდობის ამაღლებაზე[96]
- დეტალურად უნდა იყოს განსაზღვრული მედიაციისთვის მახასიათებელი პრინციპების არსი
- მედიატორის ურთიერთობა სხვა პირებთან და ინსტიტუტებთან
- აუცილებელია, ეთიკის კოდექსის მიზანს წარმოადგენდეს მედიატორის ზნეობრივი პასუხისმგებლობისა და პროფესიული საქმიანობის ქცევის წესების შემუშავება

გარდა ამისა, ეთიკის კოდექსი იქნება გარანტი მხარეებს და მედიატორს შორის ნდობის ამაღლების, რადგან ზოგადად, რომ ვიმსჯელოთ, როდესაც ნებისმიერი საქმიანობა კანონით არის რეგულირებული, საზოგადოებაში იმ ინსტიტუტის მიმართ მეტი ნდობა ჩნდება. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონთან ერთად, პარტნიორული ურთიერთობების შენარჩუნებისთვის, გამარტივებული წარმოებით დავის მოგვარებისთვის, მედიაციის განვითარებისთვის და ეფექტური მართვისთვის, მედიატორის პროფესიული საქმინობის კოდექსის შემუშავება მნიშვნელოვანი წინსვლა იქნება საქართველოს კანონმდებლობისთვის. ეთიკური სტანდარტების ფარგლებში ძირითადი ყურადღება დაეთმობა მედიატორის ზნეობრივ ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას.

9. მედიატორის მოვალეობები მესამე მხარის წინაშე

მედიატორი ვადლებულია თავისი საქმიანობის განხორციელების დროს, ზიანი არ მიაყენოს მხარეებს, ასევე უნდა განიხილოს ის გარმეოებაც, რომ შესაძლოა

[96] MINISTRY OF LABOUR, INDUSTRIAL RELATIONS, TOURISM & ENVIRONMENT, CODE OF ETHICS FOR MEDIATORS 2007, 3

შემოთავაზებული შეთანხმება იმ პირებისთვის საზიანო აღმოჩნდეს, რომლებიც არ მონაწილეობენ დავის განხილვაში. ამრიგად, მედიატორს დამატებით, მესამე მხარის ინტერესების გათვალისწინების ვალდებულებაც ეკისრება. მესამე მხარე შეიძლება იყოს როგორც კერძო პირი, აგრეთვე ფართო საზოგადოება. შესაბამისად, მედიატორმა უნდა მოუწოდოს პროცესში მონაწილე დავის მხარეებს გაამხილონ ის ინფორმაცია (არსებობის შემთხვევაში), რომელმაც შესაძლოა შეთანხმების მიღწევის შემდეგ, დააზარალოს მესამე პირები.[97]

[97] David A. Hoffman, Ten Principles of Mediation Ethics , 3

V. დასკვნა

ჩემს მიერ ზემოთ განხილული თავებიდან ნათლად ჩანს, რომ საზოგადოებაში დავის გადაწყვეტის რამდენიმე მეთოდია გავრცელებული. დღესდღეობით, იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ სასამართლო პროცესები არის ძალიან შრომატევადი, ძვირადღირებული და დროში წელვადი, დავის მხარეებმა დაიწყეს ისეთი ალტერნატიული საშუალების ძიება, რომელიც მარტივად მოახერხებდა მათი ინტერესების დაკმაყოფილებას და შეთანმების მიღწევას მესამე დამოუკიდებელი პირის მეშვეობით. სწორედ ამიტომაა, რომ მედიაცია თანდათანობით დავის გადაწყვეტის ყველაზე პოპულარული ალტერნატივა ხდება, მისი დახმარებით მხარეები პრობლემის წარმოშობის რეალურ საფუძველს უახლოვდებიან და პროცესში ჩართულობით, პრობლემური საკითხების გადაჭრას ცდილობენ. მედიაცია კონფლიქტის დასრულების არსს ეფუძვნება. ჩვეულებრივი სასამართლო საქმისწარმოებისგან განსხვავებით, მედიაციაში შესაძლოა ორივე მხარე გამარჯვებული იყოს, ვინაიდან დავის ეს საშუალება მოლაპარაკების გზით, მხარეების შერიგებას ემსახურება. მედიაცია კომერციულ და ბიზნეს დავებში ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობს. თუმცა აღნიშნული დავის გადაწყვეტის საშუალების სწორად მართვის შემთხვევაში, მისი გამოყენება ნებისმიერი სახის დავების დროს უკონკურენტო იქნება, მაგ: საოჯახო-მემკვიდრეობითი თუ ინტელექტუალური საკუთრების დავების დროს, აგრეთვე სახელშეკრულებო თუ სამეწარმეო დავების შემთხვევაში და ა.შ. საბოლოოდ, მედიაცია პრობლემის მოგვარების კულტურის განვითარებას უწყობს ხელს და გვეხმარება საზოგადოებას დავა ცივილურად გადავწვიტოთ.

მედიაცია ფართო და სწრაფად მზარდი სფეროა, თუმცა საზოგადოებაში მის მიმართ ნდობის გამოცხადებისა და ამაღლებისთვის მთელი რიგი საკანონდმებლო რეფორმებია გასატარებელი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“ ეფექტურად მოქმედებს, მისი სრულყოფილად ინსტიტუციონალიზება ეთიკის კოდექსის შემუმუშავებით და ამოქმედებით უნდა განმტკიცდეს. მედიატორის პროფესიული ეთიკის კოდექსის მიღებით, დავის მხარეებისთვის მედიატორის

საქმიანობის გაგება პრინციპების დაცვის ბაზაზე, მეტად რეალისტურია. მედიაციის ინსტიტუტი საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებაში ადაპტაციას გადის, რაც მის განვითარებას უწყობს ხელს. სასამართლო მართლმსაჯულების მოდელისგან განსხვავებით, რომელიც მეტოქეობაზეა დაფუძვნებული, მედიაცია მორალურ „განსჯას“ ანსახიერებს.[98] სწორედ იმიტომ, რომ მედიაციიას პროცესი თავისუფალია საკანონმდებლო დისციპლინისგან და დავის მოგვარება თანამშრომლობით დიალოგს ემყარება, იგი მსოფლიოში ყველაზე მოთხოვნადი საშუალება ხდება. მედიაციის უპირატესობა აბრაამ ლინკოლნის სიტყვებითაც შეიძლება განმტკიცდეს, - „კარგი შეთანხმება უკეთესია, ვიდრე კარგი სამართლებრივი დავა“.[99]

ამრიგად, მედიაცია სწრაფმზარდ და მსოფლიოში ყველაზე მოთხოვნად ინსტიტუტად ყალიბდება, რომელიც შიდა საკანონმდებლო დონეზე აუცილებლად რეგულირებას საჭიროებს. „მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონთან ერთად, მნიშვნელოვანია კანონით დადგენილი იყოს მედიატორის პროფესიული ქცევის წესები მედიაციისთვის მახასიათებელი პრინციპების ჭრილში. დამატებით აღვნიშნავ, რომ გარდა შიდასახელმწიფოებრივი რეგულირების საკითხისა, მედიაცია მსოფლიოში საერთაშორისო დიპლომატიის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტადაც იქცა.

[98] Louise Otis* and Catherine Rousseau-Saine,THE MEDIATOR AND ETHICAL DILEMMAS: A PROPOSED FRAMEWORK FOR REFLECTION, 65

[99]“ A good settlement is better, than a good lawsuit”
ნათარგმნია ჩემ მიერ

ბიბლიოგრაფია

ქართულ ენაზე:

- დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი, მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, თბილისი 2013
- საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, ირაკლი ყანდაშვილი, თბილისი 2018
- მედიაცია საქართველოში, ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, სოფიო ტყემალაძე, თბილისი 2016
- სასამართლო მედიაციის ქართული მოდელი ევრო-ამერიკულ პრიზმაში, ალექსანდრე წულაძე, თბილისი 2016
- მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე, ნინო გვენეტაძე, ევა გოცირიძე, ვახტანგ თორდია, ლევან მურუსიძე, კახა სოფრომაძე, თბილისი 2017

ინგლისურ ენაზე:

- Robert P. Burns, Some Ethical Issues Surrounding Mediation Some Ethical Issues Surrounding Mediation, 2001
- Dr Felix Steffek LLM (Cambridge), Mediation in the European Union: An Introduction, June 2012
- Carrie Menkel-Meadow. Ethics and Professionalism in Non-Adversurial Lawyering, 27 Fla. St. U. L. Rev. 153. 162 (1999).
- Louise Otis and Catherine Rousseau-Saine, THE MEDIATOR AND ETHICAL DILEMMAS: A PROPOSED FRAMEWORK FOR REFLECTION
- Alternative dispute resolution approaches and their application, Yona Shamir, 2001-2003
- Article- MEDIATION -The Preferred Alternative for Conflict Resolution, George Amoh, Accra Ghana
- The Advantages of Mediation Cases over Traditional Lawsuits, Created by FindLaw's team of legal writers and editors | Last updated June 20, 2016
- EUROPEAN CODE OF CONDUCT FOR MEDIATORS

- THE MEDIATOR AND ETHICAL DILEMMAS: A PROPOSED FRAMEWORK FOR REFLECTION, Louise Otis* and Catherine Rousseau-Saine
- Ten Principles of Mediation Ethics, David A. Hoffman
- EU mediation Law and Practire, edited by Giuseppe De Palo and Mary B. Travor, Oxford
- The institute of arbitrators & mediators, Australia, Principles of condact for Mediators
- Ethical guidelines for mediators, November 2011
- THE MEDIATOR AND ETHICAL DILEMMAS: A PROPOSED FRAMEWORK FOR REFLECTION, Louise Otis and Catherine Rousseau-Saine
- MINISTRY OF LABOUR, INDUSTRIAL RELATIONS, TOURISM & ENVIRONMENT, CODE OF ETHICS FOR MEDIATORS 2007
- Principles of Mediation as the Basis of this Process , Liudmila Surma, International mediator in Ukraine, Belarus, Germany Partner of the Attorneys Association Officium (Ukraine, Slovakia) Economic University of Slovakia

საკანონმდებლო აქტები:

- საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“
- საქართველოს კონსტიტუცია
- საქართველოს კანონი „არბიტრაჟის შესახებ“
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი

ელექტრონული მასალა:

- https://www.mediate.com/articles/SturrockJ35.cfm
- http://www.baadr.com/en/history.php, HISTORY OF MEDIATION
HISTORY OF MEDIATION - COURT-REFERRED MEDIATION - Peer Mediation, Edited and adapted by Zoya Gerasimova
- https://www.worldcat.org/wcpa/servlet/DCARead?standardNo=0787967963&standardNoType=1&excerpt=true
- https://weinsteininternational.org/mediation-in-china/
- https://www.tabula.ge/ge/tablog/93203-iuristi-ilia-chavchavadze
- https://www.mediate.com/articles/NaturalHistory.cfm
- https://bluehorizoncounselling.com.au/blog/mediation/why-mediation-is-better-than-going-to-court/

- https://www.resolutionmatters.com.au/negotiation/

- http://www.corlewlaw.com/index.php/tutorials/item/21-is-there-a-difference-between-mediation-and-negotiation
- https://specialties.bayt.com/en/specialties/q/361424/what-is-the-relationship-between-mediation-and-negotiation/
- https://www.alllaw.com/articles/legal/article9.asp
- http://tbappeal.blogspot.com/2012/06/vs.html
- ob. http://harmonydivorcemediation.com/faq/what-is-the-difference-between-mediation-and-litigation/

- https://www.bramptonfamilylawyers.ca/mediation-vs-litigation-in-brampton/
- https://adrresearch.net/2017/12/19/the-central-role-of-party-self-determination-in-mediation-ethics/
- https://www.cambridge.org/core/books/theory-of-mediators-ethics/mediator-impartiality/8B946837599740E8D2EB77A8D001FC62
- https://www.skillsyouneed.com/ips/mediation-skills.html
- https://www.skillsyouneed.com/general/emotional-intelligence.html
- http://expert-evidence.com/ethical-standards-for-mediators/